ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

9 მარტიდან გაზეთ ახალ თაობასთან ერთად

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

ბიოლოგია – თეორიული მასალა + ტესტები + 1500 ელექტრონული ტესტი

გადაფხიკე კოდი და ივარჯიშე ინტერნეტში!

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

16 მარტიდან გაიყიდება გეოგრაფია • 23 მარტიდან – ფიზიკა • 30 მარტიდან – ქიმია

ოთხშაბათი, 9 მარტი, 2016

№57 (6983)

ფასი: 50 თეთრი

# ბურჯანაძე, ინაშვილი და ბაღათურია ერთიანდებიან?





გვ.3

რა შეთავაზებას აკეთებს პატრიოტთა ალიანსი

## ომარ ნიშნიანიძე: „ჩვენ, რესპუბლიკელები ისევ კოალიციაში არიან?“

გვ.2

„მომავალმა პარლამენტმა შესაძლოა ერთნაირსქესიანთა ქორწინება დააკანონოს“



## ალექსი პეტრიაშვილი: „მე გამქონდა ასოცირების ხელშეკრულება, მექვაბიშვილს – ლომბარდები“




გვ.2

იუნა შაფათავა: „ლევან მექვაბიშვილი ჩემი ცხოვრების დაუვიწყარი მამაკაცია“

## კახა კუკავა: „ხელისუფლება სააკაშვილის ზონდერებს აწინაურებს“



გვ.4



ISSN 1987-9385

## ვახტანგ მაისაია: „რუსეთმა აფხაზეთი დიდ სამხედრო პოლიგონად აქცია“



გვ.5

# ალექსი პეტრიაშვილი: „მე გამქონდა ასოცირების ხელშეკრულება, მექვაბიშვილს — ლომბარდები“

## იუნა შაფათავა: „ლევან მექვაბიშვილი ჩემი ცხოვრების დაუვიწყარი მამაკაცია“

**ალექსი პეტრიაშვილზე განხორციელებულ თავდასხმაში ბრალდებულ ლევან მექვაბიშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.**

ეს გადაწყვეტილება გუშინ, 8 მარტს, მოსამართლე მერაბ ჯორბენაძემ მიიღო.

გადაწყვეტილების საფუძვლად მოსამართლემ ბრალდებულის მიმალვა ან მის მიერ გამოძიებისთვის ხელის შეშლა დაასახელა.

პროკურატურა მექვაბიშვილისთვის პატიმრობის, დაცვის მხარე კი 15 ათას ლარიანი გირაოს შეფარდებას ითხოვდა.

თავად ბრალდებულს პროცესზე განცხადება არ გაუკეთებია. მან დუმილის უფლებით ისარგებლა.

ლევან მექვაბიშვილის საქმეზე წინასასამართლო სხდომა 26 აპრილს ჩაინიშნა.

* * *

გუშინ საავადმყოფოდან გაეწერა ალექსი პეტრიაშვილი.

მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ლევან მექვაბიშვილთან შეხება არ ჰქონია.

— მე გამქონდა ასოცირების ხელშეკრულება, მაგ პიროვნებას ლომბარდები, ჩვენ გადაკვეთები არ გვქონია. წარმოდგენა არ მაქვს მაგ სახელზე და გვარზე, — განაცხადა პეტრიაშვილმა.




მისი თქმით, ლევან მექვაბიშვილს ნიღაბი არ ეკეთა და მისი ამოცნობა ადვილი იყო.

— მინდა გითხრათ, რომ მისდა საუბედუროდ, მისი თანამზრახველის საუბედუროდ, ღვთის ნებით, გონება არ დამიკარგავს. მახსოვს ყველა დეტალი, ვინ რა ინსტრუმენტით მუშაობდა უსასტიკესი თავდასხმის განმავლობაში. რაც მალე ითანამშრომლებს გამოძიებასთან, მით უკეთესია მისთვის, შეუმსუბუქდება ის ბრალი.

არავითარი შეხება და გადაკვეთა არ მქონია ამ ადამიანთან. მეორე პიროვნებაზე უფრო გართულდება, ამას სახეზე ნიღაბი არ ჰქონდა, მეორე პიროვნება მუშაობდა ნიღბით და, შესაბამისად, იქ სხვა დამატებითი სამძებრო სამუშაოებია ჩასატარებელი, გამოძიებას ხელი არ უნდა შევუშალოთ, — განაცხადა პეტრიაშვილმა.

* * *

— ლევან მექვაბიშვილი კრივში საქართველოს ნაკრების წევრი და ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონია, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ მისმა ყოფილმა მეუღლემ იუნა შაფათავამ.

მისივე თქმით, ლევან მექვაბიშვილსა და ალექსი პეტრიაშვილს შორის, სავარაუდოდ, ჩვეულებრივ თბილისიურ გარჩევას ჰქონდა ადგილი.

— ლევან მექვაბიშვილს ვახასიათებ ყველანაირად დადებითად. ის არის ჩემი ცხოვრების პირველი და დაუვიწყარი მამაკაცი. ძალიან კარგი სპორტსმენია, მოკრივე, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი, საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი, ეროვნული ნაკრების სახელით კრივში მსოფლიო ჩემპიონატის არაერთგზის მონაწილე და რამდენიმე საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, სპორტის ოსტატი. რაც ვიცი, მხოლოდ ერთადერთხელ, 2011 წელს იყო დაკავებული.

მას შემდეგ, რაც დავშორდით, მე ლევანთან არანაირი კონტაქტი არ მაქვს. მთავარია, რომ პეტრიაშვილი ცოცხალია. საკითხს შორიდან რომ შევხედოთ, მიუკერძოებლად, ჩვეულებრივი თბილისური გარჩევა იყო, სხვას ვერაფერს გეტყვით. გასაკვირი ამაში არაფერია. კაცები ერთმანეთში ჩხუბობენ კიდეც, ჩვეულებრივი კაცური გარჩევა იყო, — განაცხადა იუნა შაფათავამ.

* * *

— ალექსი პეტრიაშვილზე თავდასხმა იყო კარგად ორგანიზებული, დაკვეთილი კრიმინალური ფაქტი, — განაცხადა თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთმა ლიდერმა გია ცაგარეიშვილმა.

ის იმედოვნებს, რომ სისხლის სამართლის საქმე საბოლოოდ გაიხსნება და მეორე თანამზრახველის დაკავებაც მოხდება.

— რაც მთავარია, შემკვეთის დაკავება უნდა მოხდეს, რადგან ეს იყო შეკვეთილი მკვლელობის მცდელობა, ეს იყო ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება. ამიტომ მუხლიც უნდა გადაკვალიფიცირდეს. კმაყოფილებას გამოვხატავ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაკავშირებით, რომ ერთი პირი დაკავებულია, რომლის დნმ-ის მონაცემები თანხვედრაშია იმ დნმ-ის კვალთან, რომელიც დატოვებული იყო ჩაქუჩზე.

რა თქმა უნდა, გამოძიება უნდა გაგრძელდეს. ეს საქმე გამოძიებულად ვერ ჩაითვლება, თუკი დამკვეთი არ იქნება დაკავებული. რაც შეეხება მოტივებს, მოტივები უცნობია. თუმცა გამოვრიცხავ პირად ანგარიშსწორებას. ეს აბსურდი შემოგდებულია მექვაბიშვილის ადვოკატის მიერ და მას უნდა საქმის სხვა მიმართულებით წაყვანა. ეს იყო კარგად ორგანიზებული, დაკვეთილი კრიმინალური ფაქტი, — განაცხადა გია ცაგარეიშვილმა.

# ომარ ნიშნიანიძე: „უი, რესპუბლიკელები ისევ კოალიციაში არიან?“

## „მომავალმა პარლამენტმა შესაძლოა ერთნაირსქესიანთა ქორწინება დააკანონოს“

შორენა მარსაგიშვილი

**როდის შეხვდება ბიძინა ივანიშვილი „ქართულ ოცნებას“, ვინ აპირებს ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას, იშლება თუ არა კოალიცია? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ომარ ნიშნიანიძე ესაუბრება.**

***— დავით უსუფაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ შესაძლოა დაიშალოს და ამისთვის ყველა მზად უნდა იყოს. ამასთან დაკავშირებით რა ინფორმაციას ფლობთ?***

— დათო უსუფაშვილს შესაძლოა რაიმე ინფორმაცია აქვს და ამიტომ აკეთებს ამ განცხადებას. მე პირადად ამ ეტაპზე დაშლის საშიშროებას ვერ ვხედავ. საინტერესოა, თავად რესპუბლიკელები ხომ არ აპირებენ მის დაშლას. და საერთოდ, ეგ პარტია ისევ კოალიციაშია? ჩემს ამ კითხვას, ალბათ, მოჰყვება გაგრძელებები, მაგრამ ისეთი არაფერი მითქვამს. ისევე უბრალოდ დავსვი ეს კითხვა, როგორც თავის დროზე იკითხა ხიდაშელმა თოფაძეზე, მაგი ისევ პარლამენტშიაო?

იმის მტკიცებას არ დავიწყებ, რომ ჩვენს რიგებში ყველაფერი ძალიან კარგად არის. რაღაც მღელვარებები იყო. მაგრამ პრემიერის განცხადებამ ბევრს მოჰფხანა გული.

***— რომელი განცხადება იყო ბევრისთვის გულის მომფხანი?***

— ის განცხადება, რომელიც რესპუბლიკელებთან შეხვედრის წინ გააკეთა. შეხვედრის შემდეგ რამდენიმე საკითხიც მოგვარდა და მისი დაშლის არანაირი საფრთხე აღარ არის. საკუთარი სურვილით, მეეჭვება, ვინმემ კოალიცია დატოვოს.

***— თუმცა ცოტა ხნის წინ თქვენ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით, რომ რამდენიმე დეპუტატი წავა პარლამენტიდან. ამაზე რას გვეტყვით?***

— პრემიერთან გამართული შეხვედრის დროს იყო ამაზე საუბარი. ჩვენ გვერდით არის რამდენიმე დეპუტატი, რომლებსაც მომავალში აღარ სურთ პარლამენტში დარჩენა, სადღაც სხვაგან უნდათ თავის გამოჩენა. ზოგს უნდა პოლიტიკური კარიერის გაგრძელება და არც მათ უნდა შევუშალოთ ხელი. ამაზე მომავალში გვექნება საუბარი და რაღაცები გაირკვევა კიდევ.

სამწუხაროდ, პარაზიტული მიდრეკილებები ჩვენს კოალიციაში ჯერ კიდევ არის. ვიღაცები ცდილობენ, ივანიშვილის რესურსების ხარჯზე ისევ გაძვრნენ პარლამენტში. ამასთან დაკავშირებითაც უნდა იყოს საუბარი.

***— გავრცელებული ვერსიით, შესაძლოა, კოალიცია ორსუბიექტიანი გახდეს და იქ მხოლოდ რესპუბლიკელები და „ქართული ოცნება“ დარჩეს. ამაზე რას ფიქრობენ პარტიაში?***

— არა მგონია, ეს ასე მოხდეს. ამის შესახებ განცხადება დავით უსუფაშვილმა გააკეთა, რაც მოგვიანებით პრემიერმა არ დაადასტურა. აღმოჩნდა, რომ ამის შესახებ არც სხვა ლიდერებმა იცოდნენ რამე. ვიღაცებს, ალბათ, აქვთ ამის სურვილი, მაგრამ ასე არ იქნება.

ორპარტიულ თანამშრომლობაზე რომ საუბრობენ, ეს სხვა პარტიების მიმართ არაკორექტულია და არც ჩვენ მიმართ არის გამოხატული პატივისცემა. ჩვენც ხომ უნდა გვკითხონ, რას ვფიქრობთ ამის შესახებ და გვინდა თუ არა მარტო რესპუბლიკელთან თანამშრომლობა.

***— ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ შესაძლოა ზვიად ძიძიგური და კონსერვატორები რესპუბლიკელებში შევიდნენ. ეს სიმართლეა?***

— არაა ეს ინფორმაცია მართალი. ზვიად ძიძიგური კონსერვატიული და ტრადიციული ღირებულებების მატარებელია, ამიტომაც, არა მგონია, ის ლიბერალური იდეების მქონე პარტიას შეეკედლოს.

***— მრეწველების მოკვეთას მართლა აპირებენ კოალიციიდან?***

— არა მგონია, აქამდე მივიდეს საქმე მაგრამ რაღაცები შეიცვლება. ჩვენს კოლეგებს მეტი კორექტულობა მართებთ. მესმის, რომ გოგი თოფაძე ხიდაშელის არაკორექტული განცხადების გამო აიჭრა, მაგრამ ჯობდა, თავი შეეკავებინა. ახლო მომავალში მას პრემიერიც შეხვდება და ყველაფერს მოაგვარებენ.

***— დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ ის კოალიციაში არსებულ ვითარებაზე ტელეფონით ესაუბრა ივანიშვილს. მან საუბრის დეტალები არ გაამხილა. თქვენთვის თუ არის ცნობილი, რას ფიქრობს ყოფილი პრემიერი მის გუნდში არსებულ დაპირისპირებაზე?***

— ეს ყველაზე უკეთ დათო უსუფაშვილმა იცის. მას ცოტა მეტად უნდა ჩასძიებოდნენ ჟურნალისტები, რომ ეთქვა, რა უთხრა ივანიშვილმა. ჩვენ, დეპუტატებმა, არ ვიცით, რას ფიქრობს ამ ყველაფერზე ივანიშვილი. მას ამ თემაზე საჯარო განცხადება არ გაუკეთებია.

***— მის დუმილს რით ხსნით, არ აინტერესებს, რა ხდება მის გუნდში?***

— როგორ არ აინტერესებს. ის ყველაფერს აკვირდება და ისეთ უმნიშვნელო დეტალებსაც კი ამჩნევს, რომელთა შემჩნევა, ერთი შეხედვით, შეუძლებელია. ადრე მას უფრო ხშირად ვხვდებოდით ხოლმე და შეხვედრებზე ისეთი რამეები უთქვამს, რომ გაგვკვირვებია, ეს ინფორმაცია საიდან აქვსო. მან კულუარული ინფორმაციებიც კარგად იცის.

ასე მგონია, ცოტა ხანს კიდევ დააკვირდება ამ პროცესს, ცოტას კიდევ გვაცლის და მერე იტყვის თავის სათქმელს.

***— ცოტას კიდევ გვაცლისო ამბობთ და რა მიზნით აკეთებს ამას?***

— ის ელოდება, რომ ყველას ლუსტრირება მოხდება. მხოლოდ ამის მერე დასვამს საბოლოოდ ნომრებს. ის დაასახელებს, ვინ პირველია, ვინ მეცამეტე ან მეათე.

***— რა ნომრებს გულისხმობთ?***

— რა ნომრებს და ბატონმა დავით ბერძენიშვილმა რომ ბრძანა, კოალიციაში რესპუბლიკელები მეორენი ვართო.



***— მისმა ძმამ ლევანმა ადრე თქვა, პირველები ვართ, რადგანაც ჩვენ მადრიდის რეალი ვართ, „ქართული ოცნება“ ქუთაისი ტორპედოაო. ახლა რა შეიცვალა, რით აჯობა ტორპედომ რეალს?***

— ეს არაკორექტული შედარება იყო. რეალი შეიძლება მაგარი გუნდია, მაგრამ ტორპედო მირჩევნია და თავის დროზე ისიც ძალიან მაგარი გუნდი იყო. ამის მიუხედავად, არ უნდა თქვა ჩვენზე, ტორპედოაო, თორემ კიდევ ერთხელ ვიკითხავ რესპუბლიკელებზე, უი, ეგენი კიდევ კოალიციაში არიან?!

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბურჯანაძე, ინაშვილი და ბაღათურია ერთიანდებიან?

## რა შეთავაზებას აკეთებს პატრიოტთა ალიანსი

შორენა მარსაგიშვილი

**ექსპერტები საარჩევნოდ რამდენიმე ახალი ალიანსის შექმნას ვარაუდობენ. პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერის ირმა ინაშვილის მიერ გავრცელებულმა საგანგებო განცხადებამ ეს ვარაუდები კიდევ უფრო გაამყარა.**

მან არასაპარლამენტო ოპოზიციას საარჩევნო კანონმდებლობის გარშემო გაერთიანება შესთავაზა.

– გაერთიანებამ უნდა შეცვალოს საარჩევნო კანონმდებლობა, შექმნას მართლაც სამართლიანი და თავისუფალი გარემო არჩევნებისთვის და დანიშნოს ახალი საპარლამენტო არჩევნები. ეს არჩევნები იქნება ის არჩევნები, სადაც ხალხი გამოხატავს მართლა მის თავისუფალ ნებას. 2016 წლის არჩევნები რომ თავისუფალი არ იქნება, ჩვენ ეს უკვე წინასწარ ვიცით, – აცხადებს ინაშვილი.

მისივე თქმით, ეს გაერთიანება არ იქნება იდეურად დაკავშირებული პარტიების ერთობა.

– ხაზს ვუსვამ, ეს არ იქნება ერთმანეთთან იდეურად დაკავშირებული პარტიების ერთიანობა, ჩვენ ყველას განსხვავებული მსოფლმხედველობა გვაქვს; ჩვენ შევთანხმდებით იმ მთავარ იდეაზე, რომ ჩვენ პარლამენტში იმიტომ შევდივართ, რათა შევცვალოთ არსებული მახინჯი საარჩევნო კანონმდებლობა, – აღნიშნავს პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი.

საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლის მიზნით არასაპარლამენტო და საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი ისედაც თანამშრომლობს. ისინი ეტაპობრივად მართავენ შეხვედრებს. ისინი პრემიერსაც შეხვდნენ, თუმცა ბევრს ვერაფერს მიაღწიეს.

ინაშვილის ამ შეთავაზებამ, როგორც უკვე ვთქვით, ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. აღსანიშნავია ისიც, რომ მის პარტიას აქამდეც მოიაზრებდნენ სხვადასხვა ძალასთან ალიანსში.

რამდენიმე კვირის წინ ექსპერტმა უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილმა „ახალ თაობას“ განუცხადა, რომ საარჩევნოდ ინაშვილი, ნინო ბურჯანაძე და ირაკლი ღარიბაშვილი გაერთიანდებოდნენ.

ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყვეს ალიანსმა და ბურჯანაძის პარტიამ. ირაკლი ღარიბაშვილისგან ჯერ არაფერი ისმის. „ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ პოლიტიკაში დაბრუნების შემთხვევაში ექსპრემიერი ისევ მათ გუნდში იქნება.

ბურჯანაძისა და ინაშვილის შესაძლო ალიანსზე საუბარი რამდენიმე წლის წინ დაიწყო. ისინი ბევრ საკითხში თანამოაზრეები იყვნენ. მათ შორის სიტუაცია გასულ წელს დაიძაბა. საგარეჯოს არჩევნების შედეგების გასაპროტესტებლად საშიმშილოდ დამჯდარი ინაშვილი დემოკრატიული მოძრაობის ლიდერს შემოეკრიტიკა. მას შემდეგ ალიანსი და ბურჯანაძის ხალხი ერთმანეთს აღარ სწყალობენ.







პარტიის ლიდერებმა ერთმანეთი რამდენჯერმე მწარედ გააკრიტიკეს. ყოფილი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია იმედოვნებს, რომ, ყველაფრის მიუხედავად, ისინი საერთო ენას გამონახავენ.

ქართული დასის ლიდერს ორივე მხარესთან საერთო ენა აქვს გამონახული და არ გამორიცხავს, რომ მათ ალიანსი შექმნან.

ყოფილი დეპუტატის განმარტებით, ქართული დასი, დემოკრატიული მოძრაობა და პატრიოტთა ალიანსი ბევრ საკითხში თანამოაზრეები არიან და დიალოგს წინ არაფერი უდგას.

ჯერჯერობით სამმხრივი დიალოგი არ დაწყებულა. ბაღათურიას თქმით, უახლოეს მომავალში კონსულტაციები დაიწყება.

– ჯერჯერობით არანაირი შეთანხმება არ არსებობს, უბრალოდ, არის შემოთავაზება, რომ დავიწყოთ დიალოგი. ეს შემოთავაზება გაკეთდა 4 მარტს, მეორე არხის პირდაპირ ეთერში, სადაც მე და ჩემი მეგობარი ირმა ინაშვილი ვიმყოფებოდით პირდაპირ ეთერში. ამაზე შორის ჩვენ არ წავსულვართ, – ამბობს ბაღათურია.

ქართული დასის ლიდერის თქმით, ინაშვილის ინიციატივა არის სწორი, მართებული, მაგრამ დეტალებს ექნება ძალიან დიდი მნიშვნელობა.

– ჩვენ უახლოეს დღეებში გავივლით კონსულტაციებს, მოვისმენთ დეტალებს. აქამდე არავისთან კონსულტაციები და დიალოგი არ გვიწარმოებია, – აღნიშნავს ის.

ბაღათურია ფიქრობს, რომ ყველაზე კარგად საერთო ენის გამონახვას დემოკრატიულ მოძრაობასთან შეძლებს და ამბობს, რომ მათ არჩევნებზე ერთად მონაწილეობის გამოცდილებაც აქვთ.

– ჩვენ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის შევქმენით კოალიცია ერთიანი ოპოზიცია, ეს კოალიცია ჩვენ არ დაგვიშლია და არც ვგეგმავთ მის დაშლას. როცა ჩვენ ეს შევქმენით, იქვე განვაცხადეთ, რომ ამას ვქმნით საპარლამენტო არჩევნებისთვის, თუმცა აქაც რაღაც კონკრეტიზაცია დაგვჭირდება, – აცხადებს ბაღათურია.

მისი აზრით, ოპოზიციის გაერთიანება და ძლიერი კოალიციის შექმნა მხოლოდ მისასალმებელია.

– ამ მოსაზრებას იზიარებდა და მხარს უჭერდა ნინო ბურჯანაძეც. ირმა ინაშვილი ჩემი მეგობარია, ჩვენ ბევრ საკითხში თანამოაზრეები ვართ და ჩვენს დიალოგს წინ არაფერი უდგას. ირმას წინადადება არ იყო მხოლოდ ქართული დასისთვის. ეს არის წინადადება ბურჯანაძის დემოკრატიული მოძრაობისთვის, ჯერჯერობით სამმხრივი დიალოგი არ დაწყებულა, მაგრამ დავიწყებთ ამ თემებზე ლაპარაკს, – აღნიშნავს ყოფილი დეპუტატი.

დემოკრატიულ მოძრაობაში ამ შეთავაზებას ჯერ არ გამოხმაურებიან. პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიგლა ბარამიძემ „ახალ თაობასთან“ საუბარში რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ ისინი დამოუკიდებლად აპირებენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, ამასთან დაამატა, რომ პოლიტიკაში შეიძლება ყველაფერი მოხდეს.

სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, რომ ბურჯანაძის პარტიასეროვნული ფორუმიც შეუერთდება. მათ, მართალია, ჯერ კოალიცია „ქართული ოცნება“ არ დაუტოვებიათ, მაგრამ ისეთ განცხადებებს აკეთებენ, სავარაუდოდ, წავლენ.

მათი ამბავი რამდენიმე კვირაში გაირკვევა. როგორც პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ანი მიროტაძე აცხადებს, გადაწყვეტილებას პარტიის ყრილობა მიიღებს. ეს ღონისძიება თვის ბოლოს გაიმართება.

## დავით უსუფაშვილი ქორწინების საკითხზე — ეს არის დანაღმულ ველზე შესვლა



– ეს არის პოლიტიკურად დანაღმულ ველზე შესვლა, ნაბიჯი პოლიტიკური მახისკენ, – ასე აფასებს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ქორწინების, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობის კონსტიტუციით განსაზღვრის თაობაზე მმართველი უმრავლესობის ინიციატივას.

უსუფაშვილმა გუშინ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ პროცესს „რესპუბლიკური პარტია“ ემიჯნება.

პარლამენტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ საარჩევნო პროცესში აღნიშნული თემის დომინირება, საქარ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ომარ ნიშნიანიძე:

## „უი, რესპუბლიკელები ისევ კოალიციაში არიან?“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ჩვენთან ყოფნა თუ უნდათ, ასეთი რაღაცებისგან უნდა შეიკავონ თავი. თორემ მათ ევროპისკენ სვლაზე ექსკლუზივი კი არა აქვთ. რა რუკა აქვთ ერთი ამისთანა, გვაჩვენონ, რომლითაც მარტო მათ შეუძლიათ, ქვეყანა დასავლეთისკენ წაიყვანონ. ეგ არის ზღაპარი. არა მგონია, ეგენი ჩემზე მეტი მედასავლეთეები იყვნენ.

მაგარ მედასავლეთედ მივიჩნევ საკუთარ თავს, მაგრამ, რადგან პოლიტიკოსი ვარ, იმ დასავლურშიც მხოლოდ კარგს ვეძებ. პირველ რიგში, პროქართველი ვარ და ამის მერე ვარ პროევროპელი.

პოლიტიკაში ვინცაა, ყველა ასე უნდა ფიქრობდეს. ბოდიში მომითხოვია და სტრატეგიული პარტნიორების ერთ ადგილში საპონწასმული რომ არის ზოგიერთი გადავარდნილი, ასეთები ვერ ვიქნებით ვერასოდეს. ჩვენთვის მთავარია ტრადიციები.

***– იყო საუბრები, რომ საპარლამენტო უმრავლესობა ბიძინა ივანიშვილს უნდა შეხვედროდა. ამაზე თუ ისმის რამე?***

– ყველა ამბობს, რომ ასეთი შეხვედრა იქნება, მაგრამ ჯერ არ ვიცით, როდის მოხერხდება. რაც მალე შევხვდებით ჩვენს ლიდერს, მით უკეთესი იქნება. სათქმელი ძალიან ბევრი დაგროვდა.

მე გითხარით, რომ მან დეტალებში იცის, თუ რა ხდება კოალიციაში. სამაგიეროდ, არ ვიცი, რამდენად სწორ ინფორმაციას აწვდიან მას იმ განწყობაზე, რომელიც მოსახლეობას აქვს.

***– თქვენ მასთან ამ თემაზე გსურთ საუბარი?***

– არა მარტო ამ თემაზე, მაგრამ მიმაჩნია, რომ ივანიშვილმა ზუსტად უნდა იცოდეს, როგორი განწყობა აქვს ხალხს.

***– ნაციონალებს თუ დაეჯერებათ, „ქართული ოცნების“ მიმართ ხალხს ძალიან ცუდი განწყობა აქვს.***

– ჩვენ მიმართ აქვს ცუდი განწყობა და მათ მიმართ კარგი? ახლო მომავალში პარლამენტში დაიწყება იმ დანაშაულების განხილვა, რომლებსაც ეგენი ჩადიოდნენ და მერე ვნახავთ განწყობებს.

***– 7 მარტს გამართულ პოლიტსაბჭოს სხდომაზე მთავარ საკითხად საკონსტიტუციო ჩანაწერის გაკეთება განიხილეს, სადაც ეწერება, რომ ქორწინება კაცისა და ქალის ერთობაა. რატომ დადგა დღის წესრიგში ეს საკითხი მაინცდამაინც ახლა?***

– ამ პოლიტსაბჭომდე პარტია „ქართული ოცნების“ წევრები შევხვდით გიორგი კვირიკაშვილს. მან შეხვედრა ამ თემაზე საუბრით დაიწყო და გამოკვეთილად თქვა, არავინ არ უნდა დაგვწამოს ცილი, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინებას ვუჭერთ მხარსო.

***– და ვინ დააბრალა „ქართულ ოცნებას“ ასეთი რამე?***

– ჯერ არ დაუბრალებიათ, მაგრამ აუცილებლად დაგვაბრალებენ. რადგანაც პრემიერმა ამ თემაზე წამოიწყო საუბარი, მან რაღაც იცის. მისი თქმით, ის დააჩქარებს პროცესს, რომ კონსტიტუციაში ეს ჩანაწერი გაკეთდეს. კვირიკაშვილმა იქვე გაიხსენა ანტიდისკრიმანაციული კანონიც და აღნიშნა, რომ საქართველოში არავითარ შემთხვევაში არ მოხდება უმცირესობების უფლებების დარღვევა. რამდენიმე დღის წინ გამართულ პოლიტსაბჭოს სხდომაზე მან ეს გაიმეორა.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ლიბერალური ღირებულებების მატარებელი რესპუბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები და ნაციონალები ამ საკითხს სხვანაირად უყურებენ.

ჩვენ ყველას მოსაზრებას პატივს ვცემთ და მიმაჩნია, რომ ყველაფერში ზომიერები უნდა ვიყოთ, თუმცა ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება ისეთი საკითხია, რომელზეც დათმობაზე არ წავალთ. არ არის ჩვენი საზოგადოება იმისთვის მზად, რომ ასეთი რამე დაკანონდეს. სხვების არ ვიცი და პირადად მე ამ ამბავს შევეწირები.

მოვისმინე ამ საკითხზე რესპუბლიკელების პოზიციები, მაგრამ, კარგი იქნება, თუ უფრო დეტალურად გვეტყვიან, რატომ ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციაში ამ ჩანაწერის გაკეთებას. ხალხიც დაისვენებს და მათთვის საბოლოო განაჩენის გამოტანა გაუიოლდებათ.

***– მათი მხარდაჭერის გარეშე შეძლებთ კონსტიტუციაში ცვლილების შეტანას?***

– ვერ შევძლებთ.

***– აბა, რა აზრი ჰქონდა ამ ინიციატივის დაყენებას?***

– აზრი როგორ არა აქვს. დავიწყოთ იმით, რომ ცილს ვერავინ დაგვწამებს და მეორე, მიზნის მისაღწევად სხვა გზებიც არსებობს. რეფერენდუმის ჩატარებას არაფერი უდგას წინ. სხვა თუ არაფერი, ხალხი დაინახავს, ვის რა უნდა. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ასეთი ქორწინების დაკანონებით ჩვენს პროდასავლურობას გაუსვამს ხაზს, ძალიან შემცდარა. ევროპაში უამრავი კარგი ტრადიციაა და, თუ რაღაცის გადმოღებაა აუცილებელი, ისინი გადმოვიღოთ.

***– რატომ დადგა ეს საკითხი დღის წესრიგში, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცამ თქვენზე რაღაც არ იფიქროს თუ მართლა აპირებს რამდენიმე დეპუტატი ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების ინიცირებას პარლამენტში?***

– ვის რა უდევს გულში, ვერ გეტყვით. არც ეს არის გამორიცხული. ამ თემაზე იმიტომ დავიწყეთ საუბარი, რომ საკონსტიტუციოში შევიდა სარჩელი. ერთი ახალგაზრდა ითხოვს ამის დაკანონებას. ზოგიერთი დეპუტატის ქმედებებს რომ ვუყურებ, ეჭვები მიჩნდება, რომ ისინიც დაუჭერენ მხარს ასეთ ქორწინებას.

***– რესპუბლიკელები ამ ინიცირებას ემიჯნებიან. ეს კიდევ უფრო ხომ არ გაამწვავებს მათთან ურთიერთობას?***

– ამაზე მეტი რაღა უნდა გამწვავდეს. ამ თემაზე აუცილებლად დაველაპარაკებით რესპუბლიკელებს და გავიგებთ მათ პოზიციას.

***– როდის აპირებთ ამ შეხვედრას?***

– იმედი მაქვს, მალე მოხდება, რაღაცაზე მოვილაპარაკებთ. თუმცა, ალბათ, მხოლოდ ნაწილობრივ დაგვეთანხმებიან.

***– ნაწილობრივ დათანხმება რას ნიშნავს?***

– ინიციატივის წინააღმდეგ ხმას არ მისცემენ, მხოლოდ თავს შეიკავებენ. ხალხს დასკვნების გამოსატანად ესეც ეყოფა.

ჩვენ ძალიან კარგად ვაცნობიერებთ, რომ საქართველოს მომავალში ისეთი პარლამენტი ეყოლება, რომელიც აუცილებლად დაიწყებს ერთნაირსქესიანთა დაქორწინებაზე საუბარს. საკონსტიტუციო ჩანაწერით მათ ცოტათი მაინც შევაფერხებთ.

***– ასეთ პარლამენტს საქართველო ამ შემოდგომაზე ხომ არ აირჩევს?***

– ამ შემოდგომაზე ასეთ პარლამენტს არ მივიღებთ, მაგრამ შესაძლოა 2020 წელს მოვიდნენ ასეთი აზროვნების დეპუტატები.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# კახა კუკავა: „ხელისუფლება სააკაშვილის ზონდერებს აწინაურებს“

ნონა ცაბაძე



**თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა ხელისუფლებას ზონდერების დაწინაურებაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ისინი საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე ინიშნებიან.**

***— ბატონო კახა, რის საფუძველზე აკეთებთ ამ განცხადებებს? კონკრეტულად რას გულისხმობდით?***

— მე გავაკეთე განცხადება ხარაზიშვილთან დაკავშირებით, რომელიც იყო კრიალაშვილის ჩაცხრილვის ოპერაციის ხელმძღვანელი 2009 წელს. ის დაინიშნა შსს-ს სპეცდანიშნულების რაზმის ხელმძღვანელად. ეს არის დადასტურებული ფაქტი და ამაზე დღემდე შს სამინისტროს განმარტება არ გაუკეთებია.



***— რატომ ხდება ასეთი კადრების დაწინაურება?***

— დღევანდელი ხელისუფლება არის იგივე, რაც იყო სააკაშვილის რეჟიმი და რაც იყო შევარდნაძის რეჟიმი. უბრალოდ, მათ ჰყავთ იმიჯმეიკერები და ცდილობენ განსხვავებულად წარმოაჩინონ თავი. სამივე იყო ანტიეროვნული კორუმპირებული რეჟიმები. ქართველ ხალხს მოუწია სააკაშვილის გვერდზე დგომა, შევარდნაძე რომ მოგვეცილებინა და ზუსტად ასევე მოგვიწია სააკაშვილზე არანაკლები ბოროტების, ივანიშვილის გვერდზე დგომა, სააკაშვილი რომ მოგვეცილებინა.

როცა გავა დრო, 30-40 წელიწადი და ახალი თაობა შეხედავს ამ პროცესებს, მათთვის ამ რეჟიმებს შორის სხვაობა არ იქნება. ეს არის ერთი დიდი ნაგავი, რომელმაც სახელმწიფო მოაქცია ისეთ ღრმა კრიზისში და ისეთ ჭაობში, რომ ძალიან დიდი კითხვის ნიშანი დგას, შეძლებს თუ არა ქართული სახელმწიფო ამ კრიზისიდან ამოსვლას.

***— როდესაც ზონდერებზე საუბრობთ, ამ კონკრეტული შემთხვევის გარდა, იცით სხვა ფაქტებიც?***

— ჩვენ კარგად ვიცით, ქალაქის სამმართველოში როგორ ინიშნებოდნენ ვაზაგაშვილის მკვლელობაში მონაწილეები. თუმცა ეს ერთი ფაქტიც სავსებით საკმარისია. კიდევ ბევრ ფაქტს მოვიძიებდი, რომ ვხედავდე ამაზე რეაგირებას.

***— მურუსიძის შემთხვევა ისეთი გახმაურებულია, რომ ამაზე ყველა საუბრობს.***

— მურუსიძე ზონდერი არ არის, თუ გადავალთ ზოგადად წინა რეჟიმის დამნაშავეების დაწინაურებაზე, აქ ძალიან მდიდარი ფაქტოლოგიური მასალა გვაქვს. ამაზე სწორედ გუშინ ვსაუბრობდი იურიდიული კომიტეტის სხდომაზე, სადაც ანა დოლიძის საკითხი განიხილებოდა, რომ ანა დოლიძე არის პრაქტიკულად ერთადერთი, თეთრი ყვავი ამ სისტემაში, რომელიც იყო წინა რეჟიმის ოპონენტი.

***— დანარჩენები?***

— სხვა ყველა, პროკურატურაშიც, სასამართლოშიც, პოლიციაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ინიშნებიან ან წინა რეჟიმის აქტიური მხარდამჭერები, როგორიც იყო მურუსიძე, როგორიც იყო მიქაუტაძე, შოთაძე და ა.შ. ან უკეთეს შემთხვევაში, ე.წ. ნეიტრალური ხალხი, რომელიც ასევე წინა რეჟიმის მხარდამჭერები იყვნენ, მაგრამ წინა პლანზე არ ჩანდნენ. ყველა უწყების ხელმძღვანელი პირი წინა რეჟიმის მხარდამჭერი იყო.

# სომხური პრესა ადიგენში მომხდარ დაპირისპირებას ეხმიანება

## სომხური გამოცემა „Новое время“ ადიგენში მომხდარ კონფლიქტს ეხმაურება



**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი" გთავაზობთ სომხურ მედიაში გამოქვეყნებული მასალის რეზიუმეს: (ავტორი არმენ ეჩანიანი)**

— ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა სომხებით დასახლებული სამცხე-ჯავახეთის ჩრდილოეთ ნაწილში რელიგიურ ნიადაგზე ინციდენტები გარეშე ძალების ზემოქმედებით ხდება. მართალია, ჩვენი თანამემამულენი ამ ინციდენტში არ მონაწილეობდნენ, მაგრამ მომხდარი ამბავი მათაც ეხება: ანკარისა და ბაქოს ხელშეწყობით თურქეთის მოსაზღვრე საქართველოს რაიონებში მუსლიმანური ფაქტორის გაძლიერება ხშირად ხელოვნურად მიმდინარეობს, რომლის გეოპოლიტიკური შედეგები ძალიან სახიფათოა რეგიონისათვის.

ძირითადად ქართველებით დასახლებულმა ადიგენის რაიონმა „ცხელ წერტილად“ გადაქცევა ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან დაიწყო, როცა აქ, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, აჭარიდან მეწყრით დაზარალებული მუსლიმანები ჩაასახლეს. ვითარება გაუარესდა ყაზახეთიდან რეპატრირებული „თურქი-მესხების“ რამდენიმე ოჯახის ჩასახლებით, რის გამოც ქართველებმა უკვე უკმაყოფილება გამოხატეს.

ქართველთა შეშფოთება სრულად გაიზიარეს ადიგენის რაიონში მცხოვრებმა მცირერიცხოვანმა სომხებმაც. საფუძველი მათ შეშფოთებას მართლაც ჰქონდა: 1941-1943 წლებში, როცა თურქეთი სსრ კავშირში შესაჭრელად ემზადებოდა, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მუსლიმანები „მეხუთე კოლონის“ როლს ასრულებდნენ. გარდა ამისა, საშიშია დემოგრაფიული ვითარების შეცვლის ტენდენციაც: ბოლო წლებში ადიგენის რაიონში საშუალოდ ქრისტიანულ ოჯახში დაბადებულ ერთ ბავშვზე მუსლიმანურ ოჯახში დაბადებული სამი ბავშვი მოდის, — აღნიშნულია სტატიაში.

პუბლიკაციაში ვრცლადაა გადმოცემული ადიგენის რაიონში რელიგიურ ნიადაგზე წინა წლებში მომხდარი მსგავსი ინციდენტები, რომლებიც მუსლიმანთა გააქტიურების შედეგად ხდება, მათ კი ბაქოდან და ანკარიდან მფარველობენ (მაგალითად, 2013 წელს მუსლიმანებმა სოფელ ჭალაში ხელისუფლების ნებართვის გარეშე მიტოვებული კულტურის სახლი მეჩეთად გადააკეთეს და მინარეთიც დააშენეს, რომლის შემდგომმა დემონტაჟმა არეულობა გამოიწვია). ამჟამინდელი დაძაბულობის მიზეზი კი სასაფლაოთი სარგებლობა გახდა: მუსლიმანები ამბობდნენ, რომ ყურანი კრძალავს მუსლიმანის დაკრძალვას ქრისტიანთან ერთად და, მიუხედავად იმისა, რომ წმინდა წიგნში ასეთი რამ ნახსენები არ არის, რელიგიის საქმეთა სამმართველომ მაინც გასცა ახალი სასაფლაოსთვის მიწის გამოყოფის ნებართვა (მანამდე კი აქაურ მუსლიმანებს თავიანთი გარდაცვლილები აჭარაში, საგვარეულო სასაფლაოზე მიჰყავდათ ხოლმე).

ქრისტიანებს არ მოეწონათ ასეთი სიტუაცია და გადაწყვეტილების რეალიზებას წინ აღუდგნენ. დაიწყო შეხლა-შემოხლა, შეტაკების დროს დაზარალებული სამი აჭარელი საავადმყოფოში მოათავსეს. საქმეში პოლიცია ჩაერია... რამდენიმე დღის განმავლობაში ადიგენი სპეცდანიშნულების ძალებით კონტროლდებოდა.

ყოველივე ამის შემდეგ თბილისში მივიდნენ დასკვნამდე, რომ ის გადაწყვეტილება, რომელიც ევროსტრუქტურების რეკომენდაციით, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობის აზრის გაუთვალისწინებლად იყო მიღებული, მცდარი აღმოჩნდა. ყველა მხარესთან კონსულტაციების შემდეგ ახალი (მუსლიმანური) სასაფლაოს მოწყობის იდეაზე უარი თქვეს. არის ასეთი აზრიც, რომლის თანახმად, თითქოსდა ადიგენის მუნიციპალური ხელმძღვანელობა უკმაყოფილო იყო ცენტრალური ხელისუფლების ზედმეტი „ტოლერანტობით“ და კონფრონტაციას ხელოვნურად აქეზებდა. ისე კი, თუ დავუფიქრდებით, ეს ინციდენტი ცენტრალური ხელისუფლებისათვის მომგებიანიც კია. როცა ასეთ კონფლიქტებს ირიბად ხელს უწყობს, ოფიციალური თბილისი ამით ევროსაბჭოს აჩვენებს, თუ რატომაა შეუძლებელი „თურქი-მესხების“ დაბრუნება რეგიონში, საიდანაც ისინი იოსებ სტალინის რეჟიმმა 1945 წელს გაასახლა.

პრაგმატულად მოაზროვნე თბილისელი პოლიტიკოსები აცნობიერებენ იმას, რომ თუ თურქეთის საზღვართან მცხოვრებ მუსლიმანებს სასათბურე პირობებს შეუქმნიან, ამით ქართულ სახელმწიფოებრიობას „ქვეშ ნაღმს უდებენ“. გასაგებია, რომ სამცხე-ჯავახეთში ისლამური ფაქტორის გაძლიერება მეზობელი თურქეთის გავლენის განმტკიცებასაც გამოიწვევს. ეს კი სახიფათო მოვლენების განვითარების საფრთხეს ქმნის. ძალიან ბრიყვი უნდა იყოს ადამიანი, რომ ვერ შენიშნოს — სამცხე-ჯავახეთის ისლამიზაცია თურქეთისა და აზერბაიჯანის ინტერესებშია. ბაქო არ მალავს, რომ მას სურს, ქართველი მუსლიმანები ბაქოში არსებულ „კავკასიის მუსლიმანთა სამმართველოს“ დაუქვემდებაროს. ეს აზერბაიჯანის პოლიტიკური ინტერესების გატარების ერთ-ერთი საშუალებაა. როგორც ცნობილია, „კავკასიის მუსლიმანთა სამმართველოს“ — ამ ნახევრად სახელმწიფოებრივ სტრუქტურას ოდიოზური „რელიგიური ოლიგარქი“ ალაშუქიურ ფაშაზადე ხელმძღვანელობს, რომელიც საქართველოს „თავის მამულად მიიჩნევს“.

რაც შეეხება თურქეთს, რეჯებ ერდოღანის გეგმები „დიდი ოსმალეთის იმპერიის“ აღდგენის თაობაზე პირველ რიგში საზღვრისპირა აჭარასა და ჯავახეთს მოიცავს. მისი პროგრამის რეალიზების გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯს სწორედ ამ რეგიონების სრული ისლამიზება წარმოადგენს.

ასე რომ, თბილისური ოფიციოზის ის ნაწილი, რომელიც მოსახლეობის რელიგიური გრძნობებისადმი პატივისცემას ქადაგებს, უნდა დაფიქრდეს იმაზე, რომ მათი ინიციატივის განხორციელება, საბოლოო ჯამში, საზღვრისპირა რეგიონზე კონტროლის დაკარგვას მოასწავებს. ჯავახკელ სომხებს ეს კარგად ესმით და ამიტომაც მზად არიან, მხარი დაუჭირონ მართლმადიდებელ ქართველებს მათ სურვილში — თვითონ იყვნენ საკუთარი მიწის ბატონ-პატრონები, — აღნიშნულია სტატიაში.

**ნიუსპრესი**

# „დავით საყვარელიძეს თანხების გამოძალვასა და ძვირფასეულობის მითვისებას სდებენ ბრალად“

უკრაინული პორტალი „Информационный центр“ საქართველოს პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსნისა და უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილის დავით საყვარელიძის შესახებ მასალას აქვეყნებს, სადაც ქართველი ჩინოსნის მიმართ სამშობლოში წაყენებული ბრალისა და საყვარელიძის ბიოგრაფიისა და სამეგობრო წრის შესახებაა საუბარი.



საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ფრაგმენტს სტატიიდან:

— დავით საყვარელიძე — უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილე, ამავე დროს, ოდესის ოლქის პროკურორი. აღსანიშნავია, რომ 25 წლის ასაკში იგი უკვე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წარმომადგენელი იყო საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

გარდა ამისა, დავით საყვარელიძის სასამსახურო კარიერაში მას ვხედავთ გენპროკურორის პირველ მოადგილედ, ქალაქ თბილისის პროკურორად... უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა ქართველი ჩინოვნიკი ყოველთვის ჭკვიანურად ირჩევდა მეგობრებს: მისი ერთ-ერთი ძმაკაცი იყო თბილისის ექსმერი, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიგი უგულავა, რომელიც ამჟამად ციხეში ზის და სასჯელს დედაქალაქის ბიუჯეტის უყაირათოდ ხარჯვისათვის იხდის. მისი კიდევ ერთი მეგობარია იუსტიციის ექსმინისტრი ზურაბ ადეიშვილი, ოდიოზური პიროვნება, რომელიც „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდის ქართულ პოლიტიკაში „რუხი კარდინალის“ როლს ასრულებდა. იგი საქართველოში ძებნილადაა გამოცხადებული და, რასაკვირველია, უკრაინის ხელისუფლებაში უცხოელ მრჩევლად მუშაობს. სხვათა შორის, დავით საყვარელიძე ერთ-ერთი ფიგურანტია იმ საქმისა, რომელიც თბილისის რიყის პარკის ტერიტორიაზე კომერციული ფართობების უკანონო ყიდვა-გაყიდვას ეხება 2006 წელს. გარდა ამისა, ადვოკატი გიორგი ყავლაშვილი დავით საყვარელიძეს ბრალად სდებს დიდი თანხების გამოძალვას კონკრეტული პირებისაგან და ძვირფასეულობების მითვისებას, — წერს გამოცემა.

**ნიუსპრესი**

# უილიამ ლაჰიუ: „ნატო მხარს უჭერს საქართველოს, რომელსაც ალიანსში გაწევრიანება სურს“



ნატო მხარს უჭერს საქართველოს, რომელსაც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება სურს. როგორც აზერბაიჯანული მედია იტყობინება, ამის შესახებ ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა უილიამ ლაჰიუმ ბაქოში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე: „ნატოს ვარშავის სამიტი: შესაძლებლობები და მოლოდინები“ განაცხადა.

— ჩვენი თანამშრომლობა რეგიონში ძალიან ძლიერი და სტაბილურია. რეგიონის სამივე ქვეყანა დაინტერესებულია ნატოსთან პარტნიორობის შენარჩუნებით, — აღნიშნა ლაჰიუმ.

ამასთან, გამოცემა „1news“-ი იტყობინება, რომ ნატო მალე კავკასიის რეგიონში სამხედრო სწავლებების ჩატარებას გეგმავს.

— გამომდინარე იქედან, რომ საქართველო ნატოში გაწევრიანების კანდიდატია, რეგიონში მალე იგეგმება რეგულარული სამხედრო წვრთნების ჩატარება, — აღნიშნა უილიამ ლაჰიუმ.

თავის მხრივ, ნატოს გენშტაბის პოლიტიკური საკითხებისა და უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა სტეფან ელგერსმამ განაცხადა, რომ ალიანსი გეგმავს, აზერბაიჯანი და საქართველო ერთობლივ პროექტებში ჩართოს.

**ინტერპრესნიუსი**

# ვახტანგ მაისაია: „რუსეთმა აფხაზეთი დიდ სამხედრო პოლიგონად აქცია“

გულიკო ბალაძე



**რუსეთი დროდადრო საქართველოს ტერიტორიის ოკუპირებულ ნაწილში წვრთნებს ატარებს.**

აფხაზეთში, ნაგვალიეს პოლიგონზე, 100-კაციანი ჯგუფი მონაწილეობდა სამხედრო წვრთნაში. რუსულმა ანტიტერორისტულმა ქვედანაყოფებმა „უკანონო შეიარაღებული ფორმირებების საქმიანობა აღკვეთეს“.

რისთვის ამზადებს და წვრთნის პუტინი ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამხედრო ქვედანაყოფებს?

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია აცხადებს, რომ რუსეთმა აფხაზეთი ერთ დიდი პოლიგონად აქცია.

***– ბატონო ვახტანგ, სულ ახლახან აფხაზეთში რუსული სამხედრო ნაწილების წვრთნა ჩატარდა. საქართველოს ტერიტორიის ოკუპირებულ ნაწილში რუსული ანტიტერორისტული ქვედანაყოფები მზადდება. რუსეთი ე.წ. ანტიტერორისტული საქმიანობისთვის ვინმეს გაუვნებელყოფას აპირებს? რაში სჭირდება აფხაზეთში ასეთი ჯგუფების მომზადება?***

– ჯერ ერთი, სირიის ტერიტორია აფხაზეთიდან საკმაოდ ახლოს არის გეოგრაფიულად. მეორეც – სირიის საბრძოლო ოპერაციებში რუსეთის სპეცდანიშნულების ქვედანაყოფების მონაწილეობა დადასტურებული ფაქტია.

დღეს სირიაში იბრძვის 1.000-მდე სპეცდანიშნულების მებრძოლი. ამას ემატება დაქირავებული მებრძოლები. ადამიანები ჩადიან სირიაში, მონაწილეობენ, როგორც დაქირავებული მებრძოლები ასადის მომხრე შეიარაღებულ ძალებთან ერთად. ეს ყველაფერი ხდება რუსეთის სპეცსამსახურების ეგიდით.

აფხაზეთისა და სირიის ტერიტორიები, სადაც ახლა სპეცოპერაციები ტარდება, იმდენად ახლოსაა ერთმანეთთან, რომ საკმაოდ ადვილია აქედან სირიაში ქვედანაყოფების გადასროლა.

***– აფხაზეთიდან შესაძლებელია რაიმე საბრძოლო მოქმედების განხორციელება, ვთქვათ, რაკეტის გაშვება?***

– არა, აფხაზეთიდან შეიძლება მოახდინო რუსული სამხედრო გემების გადაადგილება და სამხედრო ტექნიკის გადასროლა.

***– ანუ ზღვის გამოყენებით...***

– დიახ, ზღვის გამოყენებით. რუსეთმა შეიძლება აფხაზეთში განალაგოს დამრტყმელი შეიარაღება, რომელიც მიმართული იქნება თურქეთის წინააღმდეგ. თუკი დაიწყება რუსეთ-თურქეთის კონფრონტაცია, აფხაზეთი გახდება რუსეთის პლაცდარმი თურქეთის წინააღმდეგ სამხედრო ზეწოლის განხორციელებისთვის.

***– ანუ ამ წერტილში – აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ძალების ყოფნა და მომზადება რუსეთისთვის სტრატეგიული დანიშნულებისაა?***

– რა თქმა უნდა, აბსოლუტურად, სამი მიზნით – აქედან შეიძლება განხორციელდეს სამხედრო, სატრანზიტო, სატრანსპორტო ოპერაცია, როგორც საჰაერო, ისე საზღვაო. მეორეც – შესაძლებელია, იგივე ლანდშაფტის პირობებში მოამზადო და გაუშვა სპეცდანიშნულების რაზმები. ამოქმედო ერთი და იმავე ლანდშაფტის ტერიტორიის ფორმატში.

***– რუსეთს ყირიმშიც აქვს სამხედრო ბაზა.***

– აფხაზეთის ტერიტორია უფრო მიესადაგება სირიის ტერიტორიას.

***– სოჭშიც ხომ აქვს რუსეთს საზღვაო ტერიტორია?***

– სოჭი უფრო საკურორტო და სხვა ტიპის კომპლექსების დანიშნულებისაა. აფხაზეთი კი აუთვისებელი ტერიტორიაა. აფხაზეთის ტერიტორიის გამოყენება სამხედრო დანიშნულებით რუსეთისთვის უფრო ხელსაყრელია.

***– ანუ აფხაზეთი რუსეთმა ერთ დიდ პოლიგონად აქცია.***

– რა თქმა უნდა. რუსეთს სურს, აფხაზეთის ტერიტორია თავის შეიარაღებული ძალების, თავდაცვის პოლიტიკისა და სტრატეგიის ერთ-ერთ მთავარ იარაღად გამოიყენოს.

***– წვრთნები ნაგვალიეს პოლიგონზე ჩატარდა. რას წარმოადგენს ნაგვალიეს პოლიგონი?***

– მგონი, ჩვეულებრივი ტერიტორიაა, სადაც წვრთნები ტარდება. სავარაუდოდ, ვიცი, რომ ერთი რუსული პოლიგონი არის ოჩამჩირესთან ახლოს, მეორე – სოხუმთან, მესამე – რიწის მთების მიდამოებში. რომელზეა საუბარი, ვერ გეტყვით.

***– 100-კაციანი ჯგუფი დიდია თუ პატარა?***

– სპეციალიზებული ასეული, სპეცდანიშნულების რაზმების ეგიდით, გაძლიერებულია, რომელიც წარმოადგენს სრულყოფილ საბრძოლო ერთეულს, ანუ აფხაზეთში ხდება სრულყოფილი რუსული სამხედრო ერთეულების მომზადება ასეულების სახით, რომლებსაც შემდეგ შეუძლიათ თავისუფლად ჩაერთონ სირიის საბრძოლო ოპერაციებში.

სირიისა და აფხაზეთის ტერიტორიები ერთმანეთს წააგავს. განსაკუთრებით სირიის იმ ტერიტორიებს, რომელშიც დღეს რუსეთი და ასადის კოალიცია საბრძოლო ოპერაციებს ატარებენ.

***– პრორუსულ სამხედრო კოალიციას სირიაში რა შედეგები აქვს დღეისთვის?***

– საკმაოდ წარმატებული. მათ შეძლეს გარკვეული სტრატეგიული ტერიტორიის დაკავება, შეძლეს რამდენიმე სტრატეგიული ქალაქის ბლოკირება, სადაც ჯიჰადისტური ძალები არიან გარშემორტყმული. რუსეთი ასევე მივიდა სირია-თურქეთის საზღვართან.

***– ე.ი. თურქეთს საკმაოდ რთული ვითარება ექმნება.***

– გეთანხმებით.

***– რუსეთს სურს თურქეთთან საზღვარი ჰქონდეს?***

– ბუნებრივია. რუსეთი ცდილობს მესამე სამხედრო ბაზაც შექმნას ამ საზღვრების მომიჯნავე ტერიტორიებზე და გააძლიეროს თავისი კონტინგენტი.

***– დღემდე, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, რუსეთს თურქეთთან საზღვარი არ ჰქონდა.***

– თუ არ ჩავთვლით სომხეთ-თურქეთის საზღვარს, რომელიც, ფაქტობრივად, რუსეთის შეიარაღებული ძალების სასაზღვრო ძალების კონტინგენტის მიერ კონტროლდება.

***– ანუ რუსეთს თუ დასჭირდა, თურქეთს შეიძლება ორი მხრიდან დაეჯახოს? სირიისა და სომხეთის მხრიდან?***

– ჩათვალეთ, რომ თურქეთის ტერიტორიის შიგნით არიან ქურთი სეპარატისტები, რომლებიც ასადისა და რუსეთის მხარდამჭერები იქნებიან.

***– ანუ თურქეთს შეიძლება სამი მხრიდან დაემუქროს საშიშროება?***

– იმედია, რეალურ შეჯახებამდე საქმე არ მივა, მაგრამ თეორიული გათვლებით, თუ რუსეთს დასჭირდა, სავსებით მოსალოდნელი სცენარია.

# ტომას პიკერინგი: „აფხაზებს, ოსებსა და ქართველებს ერთად მოუწევთ ცხოვრება“



– საქართველოს დღევანდელი დანაწევრება დროებითია და აფხაზებს, ოსებსა და ქართველებს, საბოლოო ჯამში, ერთად მოუწევთ ცხოვრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ცალ-ცალკე უკუსვლის გზას დაადგებიან, – აცხადებს „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციასთან ინტერვიუში აშშ-ის კარიერული ელჩი და სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილე ტომას პიკერინგი.

ყოფილი მაღალჩინოსანი ამბობს, რომ თბილისმა რუსეთთან ურთიერთობაში სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს და დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკა აწარმოოს.

– ჩემი აზრით, 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ საქართველო რუსეთთან ფრთხილად და სწორად ურთიერთობს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველომ რუსეთის ყველა სურვილს თავი უნდა დაუხაროს. ამავდროულად, რუსეთთან ურთიერთპატივისცემით სავსე ურთიერთობები უნდა დაამყაროს. საქართველო ძალიან მრავალფეროვანი ქვეყანაა. თბილისმა უნდა მონახოს გზა, რომელიც საკუთარი მრავალფეროვნების სიძლიერის გამოყენების საშუალებას მისცემს ძლიერი დემოკრატიის შესაქმნელად. ჩემი აზრით, საქართველო ამას ცდილობს. საქართველოს დიდი ძალა აქვს. ასევე დიდი ძალა აქვს ქართულ ნაციონალიზმს. თუმცა უფრო მეტ ძალას მას ეკონომიკურად წარმატებული ქვეყნის აშენება მისცემს. საქართველომ აფხაზებსა და ოსებს ალტერნატივა უნდა შესთავაზოს – ეკონომიკური და ლინგვისტური ალტერნატივები. ჩემი აზრით, საქართველოს დღევანდელი დანაწევრება დროებითია და აფხაზებს, ოსებსა და ქართველებს, საბოლოო ჯამში, ერთად მოუწევთ ცხოვრება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ცალ-ცალკე უკუსვლის გზას დაადგებიან. საქართველოს გაერთიანება, ჩემი აზრით, ქართველების სტრატეგიული მიზანია. მაგრამ ეს სამხედრო ძალით არ მოხდება. საქართველომ ხალხს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უნდა დაანახოს, რომ მათთვის ნამდვილი ალტერნატივა თბილისია და არა მოსკოვი, – განაცხადა პიკერინგმა.

პიკერინგი ფიქრობს, რომ საქართველოს ნატოში ან ევროკავშირში გაწევრიანება ქვეყნის გაერთიანებას არ წაახალისებს.

– არა მგონია. ამის გაკეთება ძლიერ, მზარდ, წარმატებულ ქართულ ეკონომიკას შეუძლია. გარშემო მცხოვრები ადამიანები იმას შეხედავენ რამდენადაა საქართველო დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში და ამ თვითდარწმუნების მოტანა მხოლოდ შენებასა და ზრდას შეუძლია, – აღნიშნა პიკერინგმა.

მისივე თქმით, რუსეთს მიაჩნია, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გარკვეული როლის შესრულება ევალებათ. „მათთვის ეს როლი არავის მიუნიჭებია, მაგრამ მათ თვითნებურად „მშვიდობისმყოფელების“ ვალდებულება აიღეს და შემდეგ გადაწყვიტეს, სამხედრო ძალა გამოეყენებინათ“, – განაცხადა პიკერინგმა.

რაც შეეხება ჟურნალისტის შეკითხვას, თუ რატომ არ გადადგა დასავლეთმა მკაცრი ნაბიჯები კრემლის წინააღმდეგ საქართველოში ძალის გამოყენების შემდეგ და რატომ არ დაწესდა ეკონომიკური სანქციები ისე, როგორც ეს უკრაინის შემთხვევაში მოხდა, ამერიკელი დიპლომატის განცხადებით, ეს ორმა მიზეზმა განაპირობა:

**ტომას პიკერინგი:**

– ერთი იყო ის, რომ სიტუაცია სტატუსკვოში მალევე გადაიზარდა და მეორე კი ის, რომ გაეროს უშიშროების საბჭოში სანქციების გასვლის შანსი არ იყო იმის გამო, რომ იქ რუსეთს ვეტოს ძალა აქვს. ჩემი პირადი აზრია, რომ დასავლეთ ევროპაში და შეერთებულ შტატებში ფიქრობენ, რომ სანქციები საქართველოსა და დასავლეთს უფრო მეტ ზიანს მიაყენებდა, ვიდრე რუსეთს. გარკვეულწილად – კი.

დასავლეთ ევროპასა და შედარებით ნაკლებად ამერიკას რუსეთში დიდი ინვესტიციები აქვთ ჩადებული. ამის გამო სანქციების ომი, მათი აზრით, კარგად არავისთვის დასრულდებოდა. ისეთი სანქციები რომ დაეწესებინათ, რომლითაც საკუთარ ინტერესებს დაიცავდნენ, მაშინ სანქციები არაეფექტური იქნებოდა. საინტერესო ის არის, რომ უკრაინის შემთხვევაში სანქციები კონკრეტული სამიზნეების წინააღმდეგ დაწესდა. ის პრობლემები, რომლებსაც რუსეთის ეკონომიკა დღეს განიცდის უფრო ნავთობის ფასების ვარდნას უკავშირდება, ვიდრე სანქციებს. რუსეთის ლიდერებმა ვერ შეძლეს ეკონომიკის დივერსიფიცირება და ეს რუსი ხალხისთვის ტრაგედიაა.

**ინტერპრესნიუსი**

# ბაია გადაბაძე: „იმედის“ დირექტორი გიორგი ბახტაძე „მაესტროს“ თანამშრომლებს ურეკავს და ახალ მენეჯმენტთან შეხვედრას სთავაზობს“

ტელეკომპანია „მაესტროს“ ყოფილი დირექტორ ბაია გადაბაძის განცხადებით, „იმედის“ გენერალური დირექტორი გიორგი ბახტაძე „მაესტროს“ თანამშრომლებს პირადად ურეკავს და ახალ მენეჯმენტთან შეხვედრას სთავაზობს. ამის შესახებ გადაბაძე განცხადებას სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ავრცელებს.

ამასთან, მისივე ინფორმაციით, ამ წუთებში რუხაძეს გაჩეჩილაძეების ადვოკატ ირაკლი კორძახიას თანაშემწე ხვდება.

„იმედის“ გენერალური დირექტორი გიორგი ბახტაძე პირადად ურეკავს „მაესტროს“ თანამშრომლებს და სთავაზობს შეხვედრას ახალ მენეჯმენტთან!!! ხოლო კორძახიას თანაშემწე ირაკლი რუხაძეს ხვდება მის ოფისში ამ წუთებში, – აცხადებს გადაბაძე.



**ინტერპრესნიუსი**

# ლევან გაჩეჩილაძის ადვოკატი ბიზნესმენ ირაკლი რუხაძესთან შეხვედრას უარყოფს



ტელეკომპანია „მაესტროს“ გენერალურ დირექტორ ლევან გაჩეჩილაძის ადვოკატი ნანუკა ჭკუასელი ბიზნესმენ ირაკლი რუხაძესთან შეხვედრას უარყოფს. როგორც ნანუკა ჭკუასელმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, „მეიდან პალასში“, სადაც სხვა ოფისებთან ერთად ირაკლი რუხაძის ოფისი მდებარეობს, გუშინ ნამდვილად იმყოფებოდა, თუმცა არა „მაესტროსთან“ დაკავშირებულ საკითხებზე.

– ირაკლი რუხაძეს ნამდვილად არ შევხვედრივარ. „მეიდან პალასში“ ვიმყოფებოდი, თუმცა არა „მაესტროსთან“ დაკავშირებით, სხვა რუტინულ თემებზე მქონდა შეხვედრა, – განაცხადა ჭკუასელმა.

ტელეკომპანია „მაესტროს“ ყოფილმა დირექტორმა ბაია გადაბაძემ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ირაკლი რუხაძეს გაჩეჩილაძეების ადვოკატი ხვდებოდა.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# მიხეილ მაჭავარიანი: „წლევანდელი ზამთარი დამთავრდა და რუსული გაზის გარეშე გავძელით“



ჩვენი ინფორმაციით, 2016-2017 წლის ზამთრის პერიოდში რუსეთიდან გაზის ტრანზიტის საფასურის მონეტიზაციის თემა დღის წესრიგში ისევ დადგება, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, დეპუტატმა მიხეილ მაჭავარიანმა.

**მიხეილ მაჭავარიანი:**

– კახი კალაძეს პირველად პარლამენტში მოსვლა 2015 წლის ნოემბერში ვთხოვეთ, როდესაც შევიტყვეთ, რომ ის 25 სექტემბერს ჩუმად, ისე, რომ არ გამოაცხადა, კომპანია „გაზპრომის“ პრეზიდენტს ალექსეი მილერს შეხვდა, რომელიც პრაქტიკულად პუტინის მარჯვენა ხელია და ესაუბრა მას გაზის ტრანზიტთან დაკავშირებით საქართველოსთვის წამგებიან პირობებზე. ამის მერე კალაძე დაიმალა და დაიწყო სიტყვების კორიანტელი – „დივერსიფიკაცია“, „უფრო კარგი პირობები“... მას პარლამენტში მოსვლა იანვარშიც ვთხოვეთ, მაგრამ არ მოვიდა. ჩვენი ინფორმაციით, იმის მიუხედავად, რომ მთავრობამ ეკონომიკურად და პოლიტიკურად წამგებიანი კონტრაქტის ხელმოწერა ვერ გაბედა, გაზის ტრანზიტის საფასურის მონეტიზაციის თემა 2016-2017 წლის ზამთრის პერიოდში დღის წესრიგში ისევ დადგება. ფაქტიურად, აზერბაიჯანელები შეიპირეს, რომ გაზი გვექნება და ახლა შეიძლება წავიდნენ, საქართველოსთვის პოლიტიკურად და ეკონომიკურად წამგებიან, ხოლო რუსეთისათვის მაამებლურ პროექტზე.

კალაძე გვარწმუნებდა, რომ თუკი „გაზპრომთან“ მოლაპარაკებებზე არ წავიდოდით, 2015-2016 წლის სეზონზე გაზი არ გვეყოფოდა. წლევანდელი ზამთარი დამთავრდა და რუსული გაზის გარეშე გავძელით?! რა აღმოჩნდა, ვისა აქვს მოკლე ფეხები?!

კიდევ ერთი თემა, რომელზეც „ნაციონალურ მოძრაობას“ კახი კალაძესთან კითხვები აქვს, რაიონების გაზიფიკაციის საკითხია. როგორც მაჭავარიანი აცხადებს, ამ მიმართულებით მოუგვარებელ პრობლემას ყველა მაჟორიტარი დეპუტატი აწყდება და ერთადერთი რაიონი, სადაც „მეტ-ნაკლებად ტემპია“, არის სამტრედია.

მაჭავარიანის ინფორმაციით, არის პრობლემები ელექტროენერგიის გამრიცხველიანების კუთხითა და ელექტროენერგიის მიწოდების მიმართულებითაც.

– ჩვენ დროს დაიწყო და აშენდა თურქეთთან გადამცემი ხაზის მშენებლობა. ეს ხაზი დატვირთული არ არის. იმის მიუხედავად, რომ მიიწერეს, ჩავიდნენ და ხან ლენტები ჭრეს და ხან – კაბელები, ხაზი დატვირთული არ არის.

რატომ მოხდა ენგურის ისე ხარჯვა, რომ პრობლემები შეგვექმნა და იძულებული ვართ, ელექტროენერგია შევისყიდოთ? რატომ არის, რომ როგორც კალაძემ გამოაცხადა, სამომხმარებლო, სოციალურმა ტარიფმა დაიწია და მოსახლეობისათვის გაზი არ იაფდება? გვაქვს ინფორმაცია „საქჰდროსთან“ დაკავშირებით, რომელიც კალაძის მფლობელობაში იყო, რომ ტენდერთან დაკავშირებით არის კორუფციული გარიგებები. გივი თარგამაძემ ფულის გზავნილთან დაკავშირებით ძალიან კონკრეტული ფაქტი გაახმაურა, რომლის მიხედვით, დავით ქარსელაძემ ენერგეტიკის სამინისტროს 1.100.000 დოლარი გადმოურიცხა.

საინტერესოა, რომ ამის გარანტორი არის „კალა კაპიტალი“, ხოლო დავით ქარსელაძე, რომლის სახელიც და გვარიც ჩვეულებრივად ისმის, არის ცნობილი „კალატოზა“. კალაძესთან კითხვა გვაქვს ძალიან ბევრი.

მაჭავარიანი ირწმუნება, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ენერგეტიკის დარგში ინვესტიციები შემცირდა, ხოლო პრობლემები გაიზარდა.

**ინტერპრესნიუსი**

# თეა წულუკიანი: „ვაგრძელებ ჩემი უფლებამოსილების შესრულებას ოქტომბრამდე, ვიდრე არჩევნები იქნება“

– მე ვაგრძელებ ჩემი უფლებამოსილების შესრულებას ოქტომბრამდე, ვიდრე იქნება არჩევნები, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ჟურნალისტის შეკითხვის საპასუხოდ, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გიორგი პაპუაშვილის განცხადებებსა და მის წინააღმდეგ გამართულ აქციას უკავშირდებოდა.

როგორც წულუკიანმა აღნიშნა, იგი არ აპირებს არსად წასვლას.

**თეა წულუკიანი:**

– მე ვაგრძელებ ჩემი უფლებამოსილების შესრულებას ოქტომბრამდე, ვიდრე იქნება არჩევნები. ჩემი მიზანია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ და პარტიის ერთ-ერთი წევრი, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ჰქვია, მათი პოლიტიკური ეპოქა სამუდამოდ ჩაბარდეს წარსულს.

მე ამისთვის ვიბრძოდი 2010 წლიდან და ამ ბრძოლას მივიყვან ბოლომდე.

* * *

ვერავინ დაგვავალდებულებს, რომ ერთსქესიანი პირები დავაქორწინოთ



იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ქორწინებასთან დაკავშირებით პოლიტსაბჭოს ინიციატივას ემხრობა. როგორც თეა წულუკიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, ის ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს ინიციატივა კანონად იქცეს.

თეა წულუკიანი:

– ჩვენ უნდა გვესმოდეს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ, რომ ვერც ევროპა, ვერც დასავლეთი, ვერც ასოცირების ხელშეკრულება, ვერც რომელიმე საერთაშორისო სასამართლო, ვერ დაგვავალდებულებს, რომ დავაქორწინოთ ერთსქესიანი პირები. საერთაშორისო ვალდებულება არ გვაქვს და ვერ გვექნება.

სტრასბურგის სასამართლოც კი ამბობს, რომ ეს ისეთი თემებია, რომელიც საზოგადოების შიგნით უნდა გადაწყდეს ყველა ქვეყანაში. დღეს ჩვენს საზოგადოებაში არ არსებობს თანხმობა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში ერთსქესიანი პირები უნდა ქორწინდებოდნენ.

მეც ამ საზოგადოების ნაწილი ვარ და ამ აზრს ვიზიარებ, რომ ოჯახი და ქორწინება არის ერთობა ქალსა და მამაკაცს შორის და ვფიქრობ, რომ ეს უნდა ჩაიწეროს საქართველოს კონსტიტუციაში, რადგან სამოქალაქო კოდექსის ის ფორმა, რომლითაც იუსტიციის სახლებში წყვილებს ვაქორწინებთ, კიდევ უფრო გამყარდეს. გამყარდეს იმ ქვეყანაში, რომელიც დგას ამ ტრადიციულ ღირებულებებზე. შესაბამისად, ამ ინიციატივას და პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებას მხარს ვუჭერ და ჩემს როლს შევასრულებ იმისთვის, რომ ეს იქცეს კანონად.

**ინტერპრესნიუსი**

# გაძვირდება თუ არა ისევ რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხები?



საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მორიგი სხდომა გაიმართება, რომელზეც რეფინანსირების განაკვეთთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება მოხდება.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის წინა სხდომა 3 თებერვალს გაიმართა, რომელზეც სებ-მა რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად, კვლავ 8.0%-ზე დატოვა. როგორც მაშინ ეროვნულ ბანკში განმარტეს, მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილება ეყრდნობოდა მაკროეკონომიკურ პროგნოზებს, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2015 წლის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება, ერთი მხრივ, დადებითად აისახება ინფლაციური მოლოდინების შემცირებაზე, ხოლო მეორე მხრივ ერთობლივი მოთხოვნის დამატებით შებოჭვით შეასუსტებს ინფლაციურ ზეწოლას.

მაშინ სებ-ში აღნიშნეს, რომ მონეტარული პოლიტიკის შემდგომი ცვლილება დამოკიდებული იქნება ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელზე, მასზე მოქმედ ფაქტორებზე, გლობალურ და რეგიონულ ეკონომიკურ გარემოსა და ზოგადად, ეკონომიკაში არსებულ ვითარებაზე. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ზრდა იმ იპოთეკურ და ბიზნესსესხებზე პროცენტის ზრდას იწვევს, რომელიც რეფინანსირების განაკვეთზეა მიბმული. შესაბამისად, 3 თებერვლის გადაწყვეტილების შემდეგ, რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული ლარში გამოტანილი სესხების პროცენტები უცვლელი დარჩა.

**ინტერპრესნიუსი**

# ირაკლი ჩიქოვანი: „რატომ იყო „გაზპრომთან“ მოლაპარაკებების პროცესი გაურკვეველი და გაუგებარი“



საპარლამენტო ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანის განცხადებით, ენერგეტიკის მინისტრმა დეპუტატებთან შეხვედრაზე უნდა განმარტოს, რატომ იყო „გაზპრომთან“ მოლაპარაკებების პროცესი გაურკვეველი და გაუგებარი. ჩიქოვანი ელოდება, რომ კახა კალაძე საკომიტეტო სხდომაზე კომპანია „გაზპრომთან“ მოლაპარაკებების შესახებ პარლამენტის წევრებს დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის.

**ირაკლი ჩიქოვანი:**

– ჩვენ ენერგეტიკის მინისტრთან გვაქვს კითხვები, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის ენერგოუსაფრთოებასა და ენერგეტიკული წყაროების დივერსიფიკაციასთან. ჩვენთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია კახა კალაძის საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობის საკითხი – ჩვენ ის ფრაქციის სხდომაზე რამდენჯერმე მივიწვიეთ და არც ერთხელ არ გამოცხადდა. ასევე, ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს საქართველოს ენერგოსფეროს ინტეგრაციის საკითხი ევროენერგო გაერთიანებაში და მასთან დაკავშირებული პროცესი.

**ინტერპრესნიუსი**

# გია ვოლსკი: „კალაძემ უნდა განმარტოს, რას წარმოადგენს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება“



– კახა კალაძემ ერთხელ და სამუდამოდ უნდა განმარტოს, რას წარმოადგენს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკიმ პარლამენტში ენერგეტიკის მინისტრის ხვალ დაგეგმილი მოსმენის საკითხზე კომენტირებისას.

**გია ვოლსკი:**

– ერთი სურვილი მაქვს, კახა კალაძემ ამ შეხვედრით ისარგებლოს და საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია, რამდენია ბუნებრივ აირზე მოთხოვნა, რომელია შევსების წყაროები, რა პროცენტული შემადგენლობა აქვს თითოეულ წყაროს გაზმომარაგების მოცულობაში და ერთხელ და სამუდამოდ განმარტოს, რას წარმოადგენს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება, ასევე განმარტოს, როგორ მიმდინარეობდა პროცესი და რა შედეგებზე გავიდა, იყო თუ არა შესაძლებლობა იმისა, მოლაპარაკებების პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე ყოფილიყო. საქართველო და აზერბაიჯანი სტრატეგიული პარტნიორები არიან არა მხოლოდ ორმხრივი ურთიერთობების ფორმატში, არამედ მათი სტრატეგიული პარტნიორობა მნიშვნელოვანია ევროპული სახელმწიფოებისთვისაც – კასპიის რეგიონის ენერგორესურსების მიწოდების ალტერნატიული გზა სწორედ საქართველოზე გადის, ხოლო ენერგორესურსების მოპოვების ადგილი აზერბაიჯანია.

აქ არის ჩვენი მთავარი სტრატეგიული ამოცანები.

ვოლსკის აზრით, „ნაციონალური მოძრაობა“ შეეცადა, არა მხოლოდ არასწორი ინფორმაცია მიეწოდებინა ხალხისთვის, არამედ აზერბაიჯანთან ურთიერთობებისთვისაც ჩრდილი მიეყენებინა. დეპუტატის თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებების ერთ-ერთი მიზანი იყო, ქართულ მხარეს მეტი ელაპარაკა აზერბაიჯანის ტექნიკურ შესაძლებლობებზე.

– რუსულ გაზს, როგორც სატრანზიტო გაზს ჩვენ ყოველთვის მივიღებთ, რადგან ჩვენ ის, როგორც სატრანზიტო ქვეყანას გვეკუთვნის. სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ ზეობის პერიოდში იყო, რომ სტრატეგიული მნიშვნელობის მილსადენი კინაღამ გაიყიდა, – აღნიშნა გია ვოლსკიმ.

**ინტერპრესნიუსი**

# „მრეწველები“ პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას ელოდებიან



„მრეწველები“ პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას ელოდებიან. როგორც ამასთან დაკავშირებით „ინტერპრესნიუსს“ „მრეწველთა“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ განუცხადა, გიორგი კვირიკაშვილი როგორც „რესპუბლიკელებს“ შეხვდა, ასევე შეხვდება კოალიციაში შემავალ ყველა სხვა პარტიას – მათ შორის „მრეწველებს“. მისივე თქმით, შეხვედრა მაშინ შედგება, როცა ამის დრო და საშუალება პრემიერ-მინისტრს ექნება.

– მინდა გითხრათ, კონფლიქტთან დაკავშირებით, რაზეც ბოლო პერიოდში მიდის საუბარი, „მრეწველები“ საჯარო განხილვებს ვწყვეტთ. თუკი ამაზე კითხვები იქნება, მხოლოდ პოლიტსაბჭოს ფორმატში ვიმსჯელებთ, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ზურაბ ტყემალაძემ. კითხვაზე, „რესპუბლიკელებსა“ და „მრეწველებს“ შორის გართულებული ურთიერთობების თემაზე ხომ არ ჰქონიათ მათ საუბარი ბიძინა ივანიშვილთან, ტყემალაძემ განაცხადა, რომ ივანიშვილთან ასეთი საუბარი არ შემდგარა.

**ინტერპრესნიუსი**

# დავით უსუფაშვილი ქორწინების საკითხზე — ეს არის დანაღმულ ველზე შესვლა

დასაწყისი მე-3 გვერდზე

თველოს და ქართველი ხალხის ინტერესებში არ შედის.

მისივე თქმით, თუკი ვინმე თვლის, რომ რაიმე მეტად და უკეთესად შეიძლება ჩაიწეროს კონსტიტუციაში, ამას სწორი დრო და სწორი ტაქტიკა სჭირდება.

– ცალსახად ითქვა, რომ პოლიტსაბჭოს სხდომაზე არანაირი თემა არ განხილულა, ქორწინების საკითხზე საკონსტიტუციო ცვლილების საკითხის გარდა. პოლიტსაბჭოს ამ სხდომაზე რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლობა არ იყო – მე გახლდით როგორც პარლამენტის თავმჯდომარე. ცხადია, რესპუბლიკელიც ვარ, მაგრამ რესპუბლიკურმა პარტიამ პოლიტსაბჭომდე განცხადება გააკეთა, რომლითაც მან ძალიან მკაფიოდ აღნიშნა, რომ რესპუბლიკური პარტია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ქორწინებას აღიარებს როგორც ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით ერთობას და არაფერს სხვას. შესაბამისად, ჩვენი კანონმდებლობა და კონსტიტუცია ამ თვალსაზრისით ნაკლული სამართლებრივად არ არის. თუკი ვინმე თვლის, რომ რაიმე მეტად და უკეთესად შეიძლება ჩაიწეროს შიგნით, ამას სწორი დრო და სწორი ტაქტიკა სჭირდება. იმ ვითარებაში, როდესაც ცვლილების ინიცირება ხდება, ამით იმის გაცხადება ხდება, რომ ამ თვალსაზრისით შესაძლოა კონსტიტუციას რაღაც აკლია, ხოლო თუ ინიცირებას სწრაფი გადაწყვეტილება არ და ვერ მოჰყვება, მაშინ ჩვენ ვტოვებთ პრობლემას კიდევ უფრო გამრავლებულს და პრობლემა კიდევ უფრო მძაფრდება.

ჩვენ ვთვლით, რომ ეს არის გარკვეულ პოლიტიკურ დანაღმულ ველზე შესვლა. ამ თემით უახლოესი თვეებისა და საარჩევნო პროცესის დომინირება არანაირად არ შედის საქართველოს, ქართველი ხალხის ინტერესებში.

ჩვენ ბევრი მნიშვნელოვანი თემა გვაქვს, რომლის საფუძველზეც და რომლის ფონზეც უნდა მოხდეს საარჩევნო გადაწყვეტილებების მიღება და არა საეჭვო წარმოშობისა და საეჭვო მიზნების თემით.

მესმის იმ ადამიანების, რომლებსაც ეს თემა გულწრფელად აწუხებთ, მაგრამ საკითხის მოგვარების პოლიტიკური მხარე უფრო პოლიტიკურად დანაღმულ ველზე შებიჯებას, პოლიტიკური მახისკენ ნაბიჯს ემსგავსება. ამიტომ ამას პოლიტიკურ შეცდომად ვთვლით და „რესპუბლიკური პარტია ინიცირების პროცესს პოლიტიკურად გაემიჯნა, – განუცხადა ჟურნალისტებს დავით უსუფაშვილმა.

ამასთან, პარლამენტის თავმჯდომარე ამბობს, რომ პატივს სცემს კოალიციის იმ წევრების, ასევე საკუთარი პარტიისა და ფრაქციის წარმომადგენლების მოსაზრებას, ვინც საკითხს განიხილავს წმინდა ზნეობრივ და მორალურ და არა – პოლიტიკურ ჩარჩოში.

**დავით უსუფაშვილი:**

– ჩვენ, პოლიტიკოსები, ვალდებული ვართ, ყველა საკითხი განვიხილოთ პოლიტიკურ ჩარჩოშიც და აქ არის განსხვავებაც, – დასძინა მან.

**ინტერპრესნიუსი**

# რის მიღწევას ცდილობს საქართველოში რუსეთი ჰიბრიდული ომითა და რბილი ძალით?

## რის გამო აკრიტიკებენ „ქართულ ოცნებას“

მარიამ მჭედლიშვილი

**საპარლამენტო არჩევნების მოახლოების კვალდაკვალ საქართველოსა და უცხოეთში გრძელდება პროგნოზების გამოთქმა იმის შესახებ, რომ რუსეთი ყველაფერს გააკეთებს თავისი ინტერესების მისაღწევად. გამოითქმის შეშფოთება იმის გამო, რომ რუსეთის ხელშეწყობით საქართველოს ხელისუფლებაში შეიძლება მოვიდნენ პრორუსული ძალები.**

– რისი მიღწევაც მოსკოვმა ვერ შეძლო 2008 წელს სამხედრო გზით, რუსეთი შეეცდება ამის გაკეთებას არასამხედრო მეთოდებით, – ასეთი დასკვნა გამოიტანეს დასავლური ორიენტაციის არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

რეგნუმის ინფორმაციით, ამ ორგანიზაციებმა დაწერეს კვლევა „ჰიბრიდული ომი და ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების ლანდშაფტის ცვლილება“.

დასკვნაში ნათქვამია, რომ რუსეთი საქართველოში იყენებს ჰიბრიდული ომის მეთოდებს. საქართველოს ასეთი მეთოდების მიმართ იმუნური სისტემა დაქვეითებული აქვს. ამას ხელს უწყობს დამოკიდებულება რუსეთის ბაზარზე, მოსახლეობის ნდობის საგრძნობლად შემცირება სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ და სხვა.

კვლევა კრიტიკულად აფასებს საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების მიერ არჩეულ „გადატვირთვის პოლიტიკას“ რუსეთის მიმართ, რამაც შეცვალა რეგიონული დინამიკა სამხრეთ კავკასიაში.

ავტორების აზრით, ახლანდელმა პოლიტიკამ ვერ გახადა საქართველო უფრო დაცული. პირიქით, ქვეყანა გახდა უფრო მოწყვლადი ჰიბრიდული საფრთხისადმი. ასეთმა პოლიტიკამ საქართველო უფრო დაუქვემდებარა რუსეთის გავლენას.

კვლევაში გამოთქმულია შეშფოთება საქართველოს პროევროპული მომავლის გამო.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მეორე კვლევაშიც გააკრიტიკეს.

ნაშრომში „რუსეთის რბილი და მაგარი ძალის საფრთხეები“ ექსპერტები რუსეთის მხრიდან რბილი ძალის გამოყენებაზე პასუხისმგებლობას აკისრებენ საქართველოს ხელისუფლებას.

კვლევაში საუბარია ერთ საგანგაშო ტენდენციაზე. ესაა პოლიტიკოსებსა და საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრებები რუსეთის პოლიტიკის გაგების თაობაზე.



ექსპერტებისათვის შემაშფოთებელია, რომ 2015 წელს საქართველოში ჩატარებული გამოკითხვებით, ევროკავშირში ინტეგრაციას ეროვნული ტრადიციებისათვის საფრთხედ მიიჩნევს გამოკითხულთა 45%. 2013 წელს ასეთი აზრი გამოკითხულთა მხოლოდ 31%-ს ჰქონდა.

რუსეთის რბილი ძალის საწინააღმდეგოდ ექსპერტები ხელისუფლებას ურჩევენ დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, ნატოში მოკავშირეების დახმარებით უსაფრთხოების ორგანოების რეფორმირებას და რუსეთისაგან ენერგოდამოუკიდებლობის შემცირებას, ასევე ჰიბრიდული ომის მონაწილეების გამოსავლენად კონტრზომების მიღებას.

რეგნუმის სიტყვებით, ცოტა ხნის წინ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა თითქმის სენსაციური განცხადება გააკეთა. მინისტრის სიტყვებით, ეუთოს სხდომაზე მას ეუთოში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა 54 ელჩის თანდასწრებით უთხრა, რომ მას აღელვებს ხიდაშელის ხშირი საუბარი ნატოზე. რუსეთის წარმომადგენლის თქმით, რუსეთის გააზრებული მოქმედებების შედეგად საქართველოში ხელისუფლება შეიცვლება და მას ექნება კრემლისათვის მისაღები ორიენტაცია.

ამ განცხადებას არ მოჰყოლია არც ოფიციალური მოსკოვის, არც საქართველოს მთავრობის სხვა წევრებისა და ოპოზიციის გამოხმაურება.

---

## „ცოტა ხანში უკრაინელებს, ქართველების მსგავსად, სამზარეულოში ჩურჩულისაც კი შეეშინდებათ“



უკრაინული პორტალი „Информационный центр“ საქართველოს ექსპრეზიდენტისა და ოდესის ოლქის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის გეგმების შესახებ სტატიას აქვეყნებს და წერს, რომ ის „უკრაინის მაღალ ელიტაში“ გადასახტომად პლაცდარმს იმზადებს.

– ნათელი ხდება, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტი არა მხოლოდ იმას ცდილობს, რომ რეგიონი სრულად ჩაიგდოს ხელში თავისი ერთგული ვასალების მეშვეობით, არამედ თავისთვის პლაცდარმს ამზადებს „უკრაინის მაღალ ელიტაში“ გადასახტომად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გავა რამდენიმე წელი და უკრაინელებს, ქართველების მსგავსად, სამზარეულოში ჩურჩულისაც კი შეეშინდებათ და შიშნარევ მზერას მიაპყრობენ კარს – ვინმეს ნაბიჯის ხმა ხომ არ ისმის, არავინ გვისმენდესო, – ნათქვამია სტატიაში.

**ნიუსპრესი**

---

## უჩა ნანუაშვილი: „ჩვენ გვჭირდება მეტი ქალი პოლიტიკაში“



სახალხო დამცველი სრულიად საქართველოს ულოცავს ქალთა საერთაშორისო დღეს, რომელიც, როგორც სახალხო დამცველის განცხადებაშია ნათქვამი, უპირველესად, ქალთა შრომითი უფლებების დაცვის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობისა და ძალადობის აღმოფხვრისაკენ ბრძოლის საკითხებს უკავშირდება. სამწუხაროდ, აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავს თემებს, რომლებმაც 8 მარტის – უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორია შექმნეს.

– მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ქალთა შრომითი უფლებების დაცვა და შრომით ურთიერთობაში დისკრიმინაციის აკრძალვა. ასევე, თვალსაჩინოა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიმართულებით არსებული უთანასწორობა. ერთი მხრივ, საზოგადოებაში არსებული მცდარი შეხედულებები, ხოლო მეორე მხრივ სპეციალური ღონისძიებების სიმცირე, ხილულ და უხილავ ბარიერებს ქმნის ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობისათვის.

საქართველოს სჭირდება მეტი ქალი პოლიტიკაში, მეტი ქალის ხმა გადაწყვეტილების მიღების, მშვიდობის მშენებლობისა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესებში. ხშირად გვესმის არგუმენტი, რომ თავად ქალებს არ სურთ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ეს არგუმენტი მხოლოდ იმ ადამიანს შეიძლება ეჩვენოს დამაჯერებლად, რომელსაც არ უნახავს ქალები საქართველოში – უფლებადამცველი, ლიდერი, სოფლად მცხოვრები, აქტიური ქალები, რომლებიც ყოველდღიურად ცვლიან თავიანთი თემის ყოფას.

ჩვენ გვჭირდება კვოტირების სისტემა, რომ დავძლიოთ არსებული უთანასწორობა და მოვხსნათ უხილავი ბარიერები. ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ქალთა შრომითი უფლებების გაუმჯობესება, ძალადობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან სწორედ ამ გზით მოხდება თანასწორუფლებიანობის იდეის განმტკიცება პრაქტიკულ ცხოვრებაში, – აცხადებს სახალხო დამცველი და აღნიშნავს, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული თანასწორობის მიღწევა, რაც ქალთა გაძლიერებას და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე მათი წარმომადგენლობის ხელშეწყობას გულისხმობს. ჯერ კიდევ 1917 წელს კატო მიქელაძე წერდა: „ქალებო, თქვენ გეუბნებიან, „თვითმმართველობა უნდა გადავიდეს ხალხის ხელშიო“. სთქვით, რომ ხალხს არ წარმოადგენს მარტო მამაკაცები, რომ თვითმმართველობა ნამდვილად ხალხოსნური უნდა იყოს. წამოაყენეთ ეგ სამართლიანი მოთხოვნილება! დაიცავით თქვენი უფლება!“

ვიზიარებ კატო მიქელაძის სიტყვებს და მოვუწოდებ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, განსაკუთრებული ყურადღების საგნად აქციონ გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირება და ქალთა გაძლიერების ხელშეწყობა „ხალხოსნური“ მმართველობის მისაღწევად, – ნათქვამია სახალხო დამცველის განცხადებაში.

**მედიანიუსი**

---

## ჟურნალისტი პოლიციაში დაიბარეს



ჟურნალისტ ლევან ქემოკლიძის განცხადებით, ქუთაისის პოლიციის მე-2 განყოფილებაში დაიბარეს. როგორც ჟურნალისტი განმარტავს, ადგილობრივი თვითმმართველობა ქუთაისში გუშინ 8 მარტთან დაკავშირებით დაგეგმილი კონცერტის ბილეთების „გატაცებას“ ედავება.

– მივედი მერიაში და ვუთხარი, რომ ბილეთები მინდოდა, რაზეც მათ უარი მითხრეს. მიპასუხეს, რომ ბილეთები აღარ ჰქონდათ. ამის შემდეგ დავინახე, რომ მაგიდაზე იდო ბილეთები, ავიღე 16 ბილეთი და ქუთაისის ბაზარში მომუშავეებს დავურიგე. ამის მერე შევიტყვე, რომ მერიამ პოლიციაში მიჩივლა, – განაცხადა ქემოკლიძემ.

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის, ზვიად ჯავახიას თქმით კი, გამოძიება დაადგენს, ჰქონდა თუ არა ადგილი კანონის დარღვევას ქემოკლიძის მხრიდან.

– მერიაში მას განუცხადეს, რომ ეს მოსაწვევები სოციალურად დაუცველი ქალბატონებისთვის იყო, თუმცა მან ეს არ გაითვალისწინა და ბილეთები მაინც აიღო. ასევე არ ვიცით, რა წაიღო მან მოსაწვევებთან ერთად. ყველაფერს გამოძიება დაადგენს, – აცხადებს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ზვიად ჯავახია.

---

## თინა ხიდაშელი: „8 მარტი არ მესმის და მომკალით“



საქართველოს თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელს დედის დღე – კი, მაგრამ 8 მარტის დღესასწაული არ ესმის. ამის შესახებ წერს ის ფეისბუქის პირად გვერდზე.

– დედის დღე მესმის, მამის დღეც რომ გვქონდეს, ძალიან კარგი იქნებოდა, ასე მგონია, ბევრ ქვეყანაში აქვთ, სასიამოვნოა, კიდევ ბევრი დღე მესმის, 8 მარტი არ მესმის და მომკალით. დღესასწაული ასე მესმის – უნდა მიულოცო, ადამიანებს მოეფერო, განსაკუთრებით მოექცე, დააფასო. რაღაც ასეთი. თუმცა, ალბათ, ყველას ჩვენებურად გვესმის ის, რის გამოც 8 მარტი საჭირო გახდა.

ჰოდა, შევეცდები, მოგილოცოთ, ქალებო. პირველ რიგში, ქალებო! ძალიან მაგარი სიტყვაა, საქართველოში რატომღაც ეუხერხულებათ – ქალბატონებს, მანდილოსნებს ამბობენ. ქალი თითქოს ცუდი სიტყვა იყოს. არ ვიცი თუ შეგიმჩნევიათ. დააკვირდით, მე ხშირად მიგრძნია. შენიშვნაც კი მიმიცია. ყველაზე მთავარი კი, ალბათ, მაინც ის არის, რომ ჩვენ რომ ოთახს დავტოვებთ დარჩენილებმა ამრეზით, ან დანანებით, ან სისუსტის აღმნიშვნელი მიმიკით არ გამოგვაყოლონ მზერა. შენი თანდასწრებით თანასწორს საქმეში, შენს არ ყოფნაშიც თანასწორად განგიხილავდნენ; შენი თანდასწრებით პარტნიორს საქმეში, შენს არყოფნაშიც გეპარტნიორებოდნენ; შენი თანდასწრებით – ადვილად მისაღწევი ჩანს უკვე. ეს ბრძოლა მეტ-ნაკლებად მოგებულია. შენს არყოფნაში – მიმიკისა და მზერის ბრძოლაში გამარჯვებას ვუსურვებ საკუთარ თავსაც და გისურვებთ, ქალებო! – წერს თინა ხიდაშელი.

**მედიანიუსი**

---

## „რატომ უნდა მიიღოს უკრაინაზე ადრე საქართველომ ვიზალიბერალიზაცია“




უკრაინული გამოცემა „Деловая Столица“ საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების შესახებ მასალას აქვეყნებს, რომლის რეზიუმესაც საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:

ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ევროკავშირი საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის შემოღების საკითხს უკრაინისაგან ცალკე განიხილავს. უკრაინელმა პოლიტიკოსებმა უკვე გააკეთეს კომენტარები ამ საკითხთან დაკავშირებით.

უკრაინის პარლამენტის (ვერხოვნა რადას) სპიკერ ვლადიმირ გროისმანის თქმით, „თავი უნდა დავანებოთ სპეკულაციებს – რატომ ცალკე საქართველო და რატომ უკრაინასთან ერთად არა... ამას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია ერთადერთი მომენტი: ევროკომისიაში დღეს მე დამარწმუნეს, რომ უკრაინას ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი 2016 წლის ბოლოსათვის ექნება“.

კომენტარი მეორე: ევროსაბჭოში უკრაინის მუდმივი დელეგაციის თავმჯდომარის, სახალხო დეპუტატ ვლადიმირ არევის თქმით, „საქართველო დიდი ხანია ითხოვდა, რომ მისი ვიზალიბერალიზების საკითხი უკრაინისაგან ცალკე განხილულიყო. საქართველოს მთავრობას ოდესის ოლქის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი, რომლის წარმომადგენლები უკრაინის ხელისუფლების სტრუქტურებში მუშაობენ, ყელში ძვალივით აქვს გაჩხერილი. თბილისი კიევს პროტესტს ღიად ვერ გამოუცხადებდა, ეს უხერხული იქნებოდა, რადგან ჩვენ საერთო მტერი გვყავს და საერთო ინტერესები გვაქვს. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობა, ოპოზიციაზე და მასმედიაზე განხორციელებული ზეწოლის გამო, სერიოზულ კრიტიკას იმსახურებს ევროსტრუქტურებისაგან. ამიტომაც ქართველებს ძალიან სჭირდებოდათ გამარჯვება, თანაც (ჩვენ) დასანახად, დაპირისპირებით... თუმცა მჯერა, რომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზება უკრაინისათვის 2016 წლის ბოლოსათვის მოხდება“.

**ნიუსპრესი**

---

## ბათუმის ვიცემერს სცემეს



ბათუმის ვიცემერ ბაგრატ მანველიძის ცემის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

როგორც მედიანიუსს უწყებაში განუცხადეს, საქმე 125-ე, ცემის მუხლითაა აღძრული.

შსს-ის ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით ბრალი ერთ პირს აქვს წარდგენილი.

რაც შეეხება თავად ვიცემერის ცემის ფაქტს, შემთხვევა 22 თებერვალს მოხდა.

არსებული ინფორმაციით, მანველიძემ ბათუმის პარკში მსხდომ ახალგაზრდებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რის შემდეგაც მანველიძე და ახალგაზრდები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ.

**მედიანიუსი**

---

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# სირიული ოპოზიცია ჟენევაში მოლაპარაკებებზე ჩასვლას დათანხმდა



State Department (Flickr)

შედგა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჯონ ქერისა და მისი რუსი კოლეგის ლავროვის სატელეფონო საუბარი.

ქერიმ ლავროვს განუცხადა, რომ მოხერხდა სირიის ზომიერი ოპოზიციის ლიდერთა დათანხმება ჟენევაში მოლაპარაკებებზე ჩასვლაზე. როგორც ცნობილია, აღნიშნული მოლაპარაკებები გაეროს ეგიდით გაიმართება.

ქერიმ და ლავროვმა გამოთქვეს კმაყოფილება იმის გამო, რომ მიუხედავად სირთულეებისა, სამშვიდობო ხელშეკრულება მეტნაკლებად სრულდება. ცალკეული შეტაკებები არ ცხრება, თუმცა მსხვერპლმა მკვეთრად იკლო. **მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ირანში მილიარდერს სიკვდილი მიუსაჯეს



AFP

ირანის სასამართლომ მილიარდერ ბაბაქ ზანჯანის სიკვდილი მიუსაჯა. ის მხილებულ იქნა რიგი კორუფციული სქემის განხორციელებასა და უზარმაზარი თანხების მითვისებაში.

ზანჯანი ირანის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია. მისი ქონება 14 მილიარდი დოლარია. **მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ლატვიაში ეროვნული სასმელის მუზეუმი გაიხსნება

ლატვიაში დაუგავპილსში გაიხსნება პირველი მუზეუმი, რომელიც მაგარ ეროვნულ სასმელს შმაკოვკის ეძღვნება.

როგორც ქალაქის ტურიზმისა ინფორმაციის განვითარების სააგენტოში განაცხადეს, აღნიშნული პროექტი ექვსი წლის მანძილზე მზადდებოდა. ამჟამად ექსპოზიციის დამონტაჟებისა სხვა მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. ტურისტებს მუზეუმი მიმდინარე წლის გაზაფხულზე მიიღებს.

შმაკოვკა ადგილობრივი ბალების ნაყოფებისგან მზადდება და ის ასევე ლატგალური „არაყის“ სახელითაცაა ცნობილი.

აღსანიშნავია, რომ მუზეუმის შექმნის ორგანიზატორები აპირებენ ლატგალური ეროვნული სასმელი მსოფლიოში ცნობად სასმელად აქციონ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ჯონ ქერი: „სავჩენკოს პატიმრობაში დარჩენა მინსკის ხელშეკრულებების დარღვევაა“

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ განაცხადა, რომ უკრაინელი მფრინავი ნადეჟდა სავჩენკო დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

– სავჩენკოს მიმართ დარღვეულია არა მხოლოდ კანონი, არამედ ადამიანის უფლებებიც! ის გამომწყვდეული ჰყავთ განმარტოებულ საკანში, იძულების წესით ჩაუტარეს ფსიქიატრიული კვლევა, სავჩენკოს დაკითხვები კანონის დარღვევით ხდებოდა, – ამბობს ქერი.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა იმას, რომ სავჩენკოს პატიმრობაში დარჩენა მინსკის ხელშეკრულებების უგულებელყოფას ნიშნავს. თანახმად შეთანხმებებისა, ყველა მძევალი უნდა გათავისუფლებულიყო, თუმცა ასე არ მოხდა.

სავჩენკოს გათავისუფლებას ევროკავშირიც მოითხოვს.



უკრაინელი მფრინავის გათავისუფლების მოთხოვნის წერილზე ხელი მსოფლიოს 170-მა ცნობილმა ხელოვანმა მოაწერა. მათ შორის არიან ბელორუსი მწერალი და ნობელის პრემიის ლაურეატი სვეტლანა ალექსიევიჩი, ცნობილი ლიტველი მწერალი-დისიდენტო ტომას ვენცლოვა და ა.შ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# რუპერტ მერდოკმა მეოთხედ იქორწინა



ამერიკელმა მედიამაგნატმა რუპერტ მერდოკმა ყოფილ მოდელ ჯერი ჰოლზე იქორწინა, რომელიც მასზე 25 წლით უმცროსია. წყვილის ჯვრისწერა პარასკევს ლონდონში გაიმართა.

საზეიმო ცერემონია XVIII საუკუნის ნაგებობაში სპენსერ-ჰაუსში გაიმართა, ხოლო მეორე დღეს ჯვარი ეკლესიაში დაიწერეს.

84 წლის მერდოკმა მეოთხედ იქორწინა. ჰოლიმდე ის დაქორწინებული იყო ვენდი დენგზე, რომელთანაც მედიამაგნატმა მეორე მეუღლესთან განქორწინებიდან სამ კვირაში იქორწინა. დღეისათვის მერდოკს ყველა ცოლისგან ექვსი შვილი ჰყავს.

59 წლის ჰოლისთვის მერდოკთან ქორწინება პირველია. ის დაახლოებით 20 წლის მანძილზე ხვდებოდა ჯგუფ როლინგ სტოუნზის ვოკალისტ მიკ ჯაგერს. 1990 წელს მათ თავიანთი ურთიერთობა კუნძულ ბალიზე გააფორმეს, თუმცა დიდ ბრიტანეთში ის უკანონოდ ჩათვალეს. წყვილი ერთმანეთს 1999 წელს დაშორდა. მათ ოთხი შვილი ჰყავთ.

მერდოკის ქონება 11,6 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. მისი ოჯახი ხუთ ქვეყანაში 120 გაზეთს, საკაბელო სატელევიზიო ქსელს ფლობს, რომლის განყოფილებები მუშაობს აშშ-ში, ევროპაში, ლათინურ ამერიკაში, აფრიკასა და აზიაში.

# ჩინეთის პოლიციამ ბრაკონიერებისგან დათვის ბელები იხსნა

ჩინეთის იუნინანის პროვინციაში რეიდის დროს პოლიციელებმა ცხოველებით მოვაჭრეებს ორი დათვის ბელი ჩამოართვეს. ამ ინფორმაციას ჩინური საინფორმაციო სააგენტო „სინხუა“ ავრცელებს.

დათვის ბელების გარდა, სამართალდამცავებმა ბრაკონიერებისგან ირმის თავის ქალები, ლეოპარდის ტყავი, სპილოს ეშვები და ასევე ცხოველთა სხვადასხვა ნაწილები ამოიღეს. გარდა ამისა, პოლიციელებმა აღმოაჩინეს ასაფეთქებელი და სამონადირეო მოწყობილობები.

ბრაკონიერობაში ეჭვმიტანილმა აღიარა, რომ იშვიათი სახეობის ცხოველებით უკანონო ვაჭრობას ეწეოდა.



# კატამ ბავშვი მის დაბადებამდე შეიყვარა



კატამ, სახელად პანდამ, თავისი პატრონის შვილი ჯერ კიდევ მის დაბადებამდე შეიყვარა. ამის თაობაზე ერთ-ერთ გამოცემას ცხოველის პატრონი ლიელ ასაიაგი ესაუბრა.

როდესაც ქალი ფეხმძიმედ იყო, პანდას მის მუცელზე თავის მიდება უყვარდა. გარდა ამისა, კატა პატრონს მუცელზე თათს ისე ადებდა, თითქოს მას ეხუტებოდა.

ასაიაგის ეყოლა ბიჭი, რომელსაც შონი დაარქვეს და პანდა ბავშვის მიმართ მზრუნველობას და სინაზეს იჩენს. მათი ფოტოსურათები ინტერნეტში ჰიტად იქცა.

ასაიაგის თქმით, მის სამივე კატას უყვარს მისი შვილი, მაგრამ პანდა ერთადერთია, რომელიც ბავშვთან „კავშირში“ შევიდა. როგორც ქალმა აღნიშნა, მას სურს ყველას აჩვენოს, რომ შინაური ცხოველებიც ოჯახის წევრები არიან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**

## განცხადებები

### მკურნალობა

● უძლიერესი ნათელმხილველი დარეჯანი – კმაყოფილი დარჩებით უმაღლეს დონეზე, აქვე მოიხსნით სხვადასხვა პრობლემას. მიღება შპს „იადიგარ დაუდის“ ოფისში. ტელ: 555-75-90-62.

● ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# ფაჩულიას დრო და მონაგარი შეუმცირდა



დალას მავერიკსმა ზედიზედ მესამე მატჩი წააგო. ზაზა ფაჩულია სათამაშო დროში ისევ შეზღუდული იყო და კლიპერსთან საშინაო შეხვედრაში მოედანზე 15 წუთი გაატარა. დევიდ ლის დალასში გადასვლის შემდეგ ჩვენებურს დრო აშკარად შეეკვეცა.

ტეხასელებმა პირველი ტაიმი 2 ქულით მოიგეს, თუმცა მესამე პერიოდი ჩააგდეს, რომელიც 16:33 დათმეს და საბოლოოდ 19 ქულით – 90:109 დამარცხდნენ.

ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო. ქართველმა ცენტრმა ფარზე კარგად იმუშავა და 8 მოხსნა მიითვალა. ზაზამ 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 2 ორიანი კი ააცილა, 2 ქულასა და 8 მოხსნასთან ერთად ფაჩულიას 1 პასი ჰქონდა. სათადარიგო დევიდ ლიმ 16 წუთი ითამაშა და 13 ქულასთან ერთად 8 მოხსნა მიითვალა. საუკეთესო 22 ქულით დირკ ნოვიცკი გახლდათ.

კლიპერსში 23 ქულითა და 20 მოხსნით საუკეთესო შედეგი აჩვენა დეანდრე ჯორდანმა, რომელმაც პირველ მეოთხედში საჯარიმო ისე ააცილა, ბურთი ფარს ვერ გაარტყა და ამის გამო მაყურებლებისგან დამცინავი რეპლიკები მიიღო. ჯორდანი დალასელებს განსაკუთრებით იმის გამო ეჯავრებათ, რომ ამ კალათბურთელმა მავერიკსთან წინასწარი შეთანხმება დაარღვია და ტეხასში გადაბარგების ნაცვლად კლიპერსში დარჩა. არადა, სწორედ ამ ფაქტის გამო მოხვდა ფაჩულია დალასში.

33 მოგება და 31 წაგებით დალასი ანალოგიური შედეგის მქონე პორტლენდთან ერთად დასავლეთ კონფერენციაში მე-6-7 ადგილებს იყოფს. მომდევნო მატჩი ფაჩულიას გუნდს კვლავ შინაურ არენაზე ელის.

# ბორჯღალოსნები დათვებთან სათამაშოდ ემზადებიან

12 მარტს ბორჯღალოსნები რაგბი ევროპის ჩემპიონატის მე-4 ტურის მატჩში სოჭში რუსეთის ნაკრებს ერკინებიან.

ეს საქართველოსა და რუსეთის მორაგბეთა ნაკრებების მე-20 შეხვედრა იქნება. ბალანსი ბორჯღალოსნების სასარგებლოდაა და თანაც ერთობ შთამბეჭდავი: 17 გამარჯვება 1 წაგება და 1 ფრე (ბურთები 476:224). სოჭი მეზობელთა შერკინებას მესამედ მასპინძლობს. 2011 წელს 15:9 გავიმარჯვეთ, 2013 წელს კი 23:9 დავამარცხეთ დათვები.

ბორჯღალოსნებმა რუსეთისთვის მზადება ტრადიციულად შევარდენის სანაკრებო ბაზაზე დაიწყეს. ნაკრები შეკრებას პარასკევს დაასრულებს და სოჭში გაემგზავრება.

რუსებთან ტრავმების გამო დუდუ ქუბრიაშვილი, მერაბ შარიქაძე და გიორგი თხილაიშვილი არ გვეყოლება. ქუბრიაშვილს მხრის ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და სამწვრთნელო შტაბმა მისი დასვენება გადაწყვიტა. შარიქაძე კოჭ-წვივის ტრავმას იშუშებს, რათა რუმინეთისთვის მწყობრში იყოს, ხოლო სამედიცინო შტაბის დასკვნით, საქართველო-ეპანეთის მატჩში ბარძაყის უკანა კუნთების დაზიანების გამო, თხილაიშვილის რეაბილიტაცია 2 თვეს გასტანს.

სამაგიეროდ, წლევანდელ სეზონში შეკრებაზე პირველად გამოჩნდებიან კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი, საფრანგეთი) და ჯაბა ბრეგვაძე (ვუსთერი, ინგლისი), ხოლო მამუკა გორგოძე და ლევან ჩილაჩავა ნაკრებს სავარაუდოდ რუმინეთისთვის შეუერთდებიან.




## შედეგები

**7 მარტი**

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**
ესპანიოლი-რაიო ........................... 2:1

**გერმანია. მე-2 ლიგა**
ფრაიბურგი-ლაიპციგი ........................... 2:1

**იტალია. სერია ბ**
ჩეზენა-სალერნიტანა ........................... 1:2

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**
კლერმონი-მეცი ........................... 2:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**
რიუ ავე-ეშტორილი ........................... 1:3

**რუსეთი. პრემიერლიგა**
ურალი-დინამო ........................... 1:1
ანჟი-ამკარი ........................... 0:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**
სტ.გალენი-გრასჰოპერსი ........................... 2:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**
ასტერასი-აეკი ........................... 0:0

**თურქეთი. სუპერლიგა**
ბეშიქთაში-ესკიშეჰირი ........................... 3:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**
პოგონი-რუხი ........................... 2:3

**დანია. სუპერლიგა**
ნორდსიელანდი-მიდტიულანდი .... 2:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# სამტრედიამ საბურთალოს გადაუარა

გაიმართა საქართველოს პირველობის მატჩი სამტრედიასა და საბურთალოს შორის.

**სამტრედია – საბურთალო 8:2**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

**1:0 შერგელაშვილი (10), 2:0 ცნობილაძე (24), 3:0 ჯიქია (48), 4:0 შერგელაშვილი (51), 5:0 იოსელიანი (61), 6:0 ზივზივაძე (63), 6:1 ცაცკრიალაშვილი (67), 7:1 ზივზივაძე (71), 7:2 ხარაიშვილი (72), 8:2 დათუნაიშვილი (82)**

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, გ.მჭედლიშვილი (მთივლიშვილი 74), ცნობილაძე, გოგიაშვილი, შერგელაშვილი (ახალაძე 57), იოსელიანი, დათუნაიშვილი, მარკოზაშვილი (შ.კერძევაძე 62), ენდელაძე, ზივზივაძე, დ.ჯიქია

**საბურთალო:** ქურდაძე, იაშვილი, მარგველაშვილი, თოთაძე, ნადარაია, ელვინ ტერა, ბიძინაშვილი (ცაცკრიალაშვილი 36), ხორხელი (გვარაძე 49), ხარაიშვილი, გოშთელიანი (მამუჩაშვილი 55), ფანცულაია.

**გაძევება:** მარგველაშვილი (50)

საბურთალოს ახალგაზრდულ გუნდს დაემართა ის, რაც მოსალოდნელი იყო. ახალგაზრდა ფეხბურთელები ვერ უძლებენ იმ დატვირთვას, რასაც დიდი ფეხბურთი ჰქვია. ეროვნული ჩემპიონატის გარდა ითამაშეს იუნიორთა ჩემპიონთა ლიგაზე, საქართველოს თასზე, გუნდის ფეხბურთელები მუდმივად არიან მიწვეულნი სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში და შედეგიც სახეზეა – ბოლო სამ მატჩში საბურთალომ 17 ბურთი გაუშვა.

სამტრედიელთა თავკაცი გია ცეცაძე კი უფრო შემტევი ფეხბურთის მიმდევარია და ეს ამ მატჩშიც გამოჩნდა.

პირველ ტაიმში მხოლოდ 2 გოლი გავიდა: ანგარიში ლაშა შერგელაშვილმა საჯარიმო დარტყმით გახსნა, ხოლო მეორე გოლი კუთხურის შემდეგ ცენტრალურმა მცველმა, დაჩი ცნობილაძემ გაიტანა.



მეორე ტაიმში კი გოლების ცვენა ვიხილეთ: სამტრედიელებმა ზედიზედ 4-ჯერ მოახერხეს მეტოქის კარის აღება. დავით ჯიქიამაც კუთხურის შემდეგ გაიტანა, ხოლო შერგელაშვილმა ისევ ჯარიმიდან. ამ ჯარიმას წინ უსწრებდა გაგი მარგველაშვილის გაძევება.

შემდეგ გიგი იოსელიანისა და ბუდუ ზივზივაძის ჯერი დადგა და სამტრედია 6:0 დაწინაურდა.

რატი ცაცკრიალაშვილმა მოახერხა და ანგარიშში სხვაობა კი შეამცირა, მაგრამ ზივზივაძემ დუბლი შეასრულა და ბომბარდირთა მარაქაშიც გაერია. მატჩის ბოლოს გიორგი ხარაიშვილმა და გიორგი დათუნაიშვილმაც გაცვალეს გოლები და საბოლოო შედეგი დააფიქსირეს – 8:2 სამტრედიელთა სასარგებლოდ.

ამ გამარჯვებით სამტრედია მე-3 ადგილზე მოკალათდა და ევროტურნირებზე გასასვლელად სერიოზული პრეტენზია განაცხადა.

საბურთალოს კი ახალი მწვრთნელი ეყოლება – ესპანელი პაბლო ფრანკო მარტინი.

ჭიაბრიშვილსა და კლუბს შორის ურთიერთობის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გაწყვეტა ჯერ კიდევ მაშინ გადაწყდა, როცა მან საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობა გადაწყვიტა. ამის შემდეგ კლუბმა ახალი მწვრთნელის ძიება დაიწყო.

მარტინი კარიერის მანძილზე სანტა ეუგენიას, იესკასს, პუერტოიანის, ხეტაფეს მეორე და მთავარ გუნდს წვრთნიდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 19 | 17 | 1 | 1 | 53-15 | 52 |
| 2.დილა | 19 | 12 | 4 | 3 | 33-15 | 40 |
| 3.სამტრედია | 19 | 12 | 2 | 5 | 45-22 | 38 |
| 4.სიონი | 19 | 11 | 4 | 4 | 39-22 | 37 |
| 5.ცხინვალი | 19 | 10 | 6 | 3 | 37-22 | 36 |
| 6.ჩიხურა | 19 | 10 | 3 | 6 | 35-17 | 33 |
| 7.დინამო (ბთ) | 19 | 9 | 6 | 4 | 31-18 | 33 |
| 8.ტორპედო | 19 | 8 | 5 | 6 | 30-28 | 29 |
| 9.შუქურა | 19 | 7 | 6 | 6 | 19-17 | 27 |
| 10.საბურთალო | 19 | 6 | 3 | 10 | 27-46 | 21 |
| 11.კოლხეთი | 19 | 5 | 3 | 11 | 14-25 | 18 |
| 12.ლოკომოტივი | 19 | 4 | 4 | 11 | 20-27 | 16 |
| 13.გურია | 19 | 3 | 7 | 9 | 15-30 | 16 |
| 14.მერანი | 19 | 3 | 2 | 14 | 16-46 | 11 |
| 15.ზუგდიდი | 19 | 1 | 6 | 12 | 13-42 | 9 |
| 16.საპოვნელა | 19 | 2 | 2 | 15 | 12-47 | 8 |

# ჩელსი პსჟ-სთან რევანშს ეცდება

დღეს გაიმართება ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი ორი მერვედფინალური შეხვედრა.

**ჩელსი – პსჟ 2.75 3.2 2.6**

**(პირველი მატჩი 1:2)**

საინტერესო ბრძოლის მოწმე გავხდებით. ამ გუნდების მატჩებში ყოველთვის ასეა. გასულ წელს, ამავე სტადიაზე პარიზელებმა იმარჯვეს. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა, რის შემდეგაც ლონდონში დამატებითი დრო დაინიშნა, სადაც გუნდებმა ასევე თითო გოლი გაცვალეს და სტუმრად მეტმა გატანილმა გოლმა უპირატესობა პსჟ-ს მიანიჭა.

2014 წელს, მეოთხედფინალში კი სტუმრად გატანილმა გოლმა უკვე ჩელსის გაუწია სამსახური: პარიზში 3:1 წაგებული მატჩის შემდეგ ჩელსიმ ლონდონში 2:0 მოიგო.

2004 წელსაც შეხვდრიან ერთმანეთს, მაშინ ჯგუფურ ეტაპზე და პსჟ-ც ის გუნდი არ იყო, რაც ახლაა. ჩელსიმ სტუმრად 3:0 მოიგო, შინ კი უგოლო ფრეს დასჯერდა.

გუნდების დღევანდელ სათამაშო ფორმას თუ გადავხედავთ, პსჟ ფავორიტია, მაგრამ ჩელსისაც შეუძლია „გასროლა". ლონდონელები პრემიერლიგაში ვერ ყოჩაღობენ და აქცენტი ლიგაზე აქვთ გადატანილი. რამდენად მისცემს პარიზული კლუბი ამის საშუალებას, დღეს გამოჩნდება.

ჩელსის ტრავმირებულნი კურტ ზუმა და რადამელ ფალკაო დააკლდებათ, ხოლო პარიზელებს – სერჟ ორიე. კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის თამაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას: პედრო, ჯონ ტერი, დიეგო კოსტა (ჩელსი), მარკო ვერატი, ბლეზ მატუიდი, ხავიერ პასტორე (პსჟ).

მსაჯები გერმანელები არიან: ფელიქს ბრიხი (მთავარი); მარკ ბორში, შტეფან ლუპი (ასისტენტები); ბასტიან დანკერტი, მარკო ფრიტცი (დამატებითი ასისტენტები); მარკო ახმიულერი (მეოთხე);

**სავარაუდო შემადგენლობები:**

**ჩელსი:** კურტუა, ივანოვიჩი, კეიხილი, ბაბა, ასპილიკუეტა, მიკელი, ფაბრეგასი, ვილიანი, ოსკარი, აზარი, რემი

**პსჟ:** ტრაპი, მაქსველი, სილვა, ლუიზი, ვან დერ ვილი, ლუკასი, მოტა, რაბიო, დი მარია, კავანი, იბრაჰიმოვიჩი

**ზენიტი – ბენფიკა 2.1 3.3 3.5**

**(პირველი მატჩი 0:1)**

არანაკლებ საინტერესო მატჩი იქნება სანკტ-პეტერბურგში. აქამდე ზენიტს ორივე საშინაო მატჩი აქვს მოგებული ბენფიკასთვის. მოგება დღესაც სჭირდება, მაგრამ თუ გოლს გაუშვებს, მაშინ 2 ბურთის სხვაობით.

სწორედ ასე მოხდა 2012 წელს, ზენიტმა შინ 3:2 მოუგო პორტუგალიურ გუნდს, მაგრამ სტუმრად 2:0 დამარცხდა და მეოთხედფინალში მეტოქე გაუშვა. რუსებმა 2014 წელს ორივე მატჩი



მოუგო ბენფიკას, მაგრამ ჯგუფურ ეტაპზე.

მასპინძლებს დისკვალიფიკაციის გამო დომენიკო კრიშიტო და ხავი გარსია დააკლდება. ამავე მიზეზით ვერ ითამაშებენ ბენფიკელები – ანდრე ალმეიდა და ჟარდელი, ხოლო ჟულიო სეზარი ტრავმირებულია.

მატჩს უნგრელები განსჯიან: ვიქტორ კოშოი (მთავარი); გიორგი რინგი, ვენცელ ტოტი (ასისტენტები); ტამაშ ბოგნარი, ადამ ფარკოში (დამატებითი ასისტენტები); იშტვან ოლბერტი (მეოთხე);

**სავარაუდო შემადგენლობები:**

**ზენიტი**: ლოდიგინი, ანიუკოვი, ნეტუ, გარაი, ლომბერტსი, ვიტსელი, შატოვი, იუსუპოვი, დანი, ჰალკი, ძიუბა

**ბენფიკა**: ედერსონი, ლოპესი, ელიზეი, ლინდელეფი, სემედუ, გაიტანი, სანჩესი, სამარისი, პიცი, მიტროღლუ, ჟონასი.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა დაავადებაა ოსტეოართროზი

ოსტეოართროზი სახსრების დაავადება, რომლის დროსაც დეგენერაციული ხასიათის პირველადი ცვლილებები წარმოიქმნება სახსრის ხრტილში. განსხვავებით ართრიტისაგან, ოსტეოართროზის დროს ანთებითი კომპონენტი მუდმივი არ არის; დაავადება მიმდინარეობს ეპიზოდების სახით და ნაკლებადაა გამოხატული.

გამოყოფენ პირველად და მეორად ოსტეოართროზს. ეს უკანასკნელი ვითარდება სახსრებისა და ძვლების დისპლაზიით, სახსრის ტრავმით, მეტაბოლური (მაგალითად, ოქრონოზი), ენდოკრინული (მაგალითად, ჰიპოთირეოზი) და სახსრის ხრტილის სხვა დამაზიანებელი დაავადებებითა და ფაქტორებით. იმ შემთხვევაში, თუკი გამომწვევ მიზეზს ნახულობენ, ლაპარაკობენ პირველად ოსტეოართროზზე.

პათოგენეზი დაახლოებით ერთნაირია დაავადების ორივე ფორმისათვის. ხრტილის პირველადი დეგენერაცია იწვევს სახსრის სხვა ქსოვილების ცვლილებებს.

ოსტეოართროზის მიმდინარეობა დამოკიდებულია დაავადების ლოკალიზაციაზე. განსაკუთრებით ხშირად ზიანდება წინატერფ-ფალანგის სახსრები, მუხლის, მენჯ-ბარძაყის სახსრები, ასევე მტევნების დისტალური ოსტეოსრთრიტი და პროქსიმალური ფალანგთაშუა სახსრები.

სხვა სახსრების დაზიანება ოსტეოართროზისათვის დამახასიათებელი არ არის. წინატერფ-ფალანგის სახსრების ოსტეოართროზი ხშირად ვითარდება ტერფის წინა ნაწილის სხვადასხვა ანომალიების შედეგად.

დამახასიათებელია ტკივილი ხანგრძლივი სიარულისას, რომელიც ჩაცხრება მოსვენებითი მდგომარეობის დროს. დროთა განმავლობაში შესაძლოა წარმოიქმნას მოძრაობის შეზღუდვა სახსარში, მოხდეს მისი გასქელება და დეფორმაცია, ბურსიტის განვითარება, რაც გარკვეულ წინაპირობას ქმნის უფრო მუდმივი და ინტენსიური ტკივილებისა.

მუხლის სახსრების ოსტეოართროზი (გონართროზი) ბევრ შემთხვევაში წარმოადგენს მეორადს და განპირობებულია ხშირად მუხლის ანატომიური ღერძის დარღვევით – მათი ვარუსული ან ვალგუსური დეფორმაციით. ფემურო-პატელარული შენაწევრების (კვირისტავსა და ბარძაყის ძვალს შორის) ოსტეოართროზისათვის დამახასიათებელია ტკივილის წარმოქმნა კიბეზე სიარულისას და ნებისმიერი სხვა დატვირთვებისას ამ სახსარზე: მუხლებზე დგომა, ჩამოჯდომა და სხვა.

ფემუროტიბიალური ოსტეოართროზისათვის დამახასიათებელია ტკივილი, რომელიც ვითარდება ხანგრძლივი სიარულისას და ქრება მოსვენების დროს. დაავადების ამ სტადიაზე სახსრის გარეგანი ცვლილებები დათვალიერებით არ ჩანს, ვლინდება მხოლოდ ტკივილი სახსარში პასიური მოძრაობის დროს.



გონართროზის პროგრესირებასთან ერთად ტკივილი მატულობს. სინოვიტის თანდართვის შემთხვევაში იცვლება ტკივილის რიტმი: წარმოიქმნება სტარტული ტკივილი, ტკივილი დგომისა და მოსვენების დროს, მათ შორის ღამით. დათვალიერებით შესაძლოა გამოვლინდეს უმნიშვნელო ექსუდაცია ან სახსრის ცალკეული ზონების ჰიპერთერმია; პალპაციით ვლინდება გავრცელებული მტკივნეულობა.

მენჯ-ბარძაყის სახსრის ოსტეოართროზი (კოქსართროზი) შემთხვევათა 50-60%-ში წარმოადგენს მეორადს, ხშირად სახსრის დისპლაზიის შედეგს; ტკივილის ხასიათი და კლინიკური დინამიკა დაავადების პროგრესირებასთან ერთად ისეთივეა, როგორიც გონა რთროზის დროს.

მტევნის ფალანგთაშუა სახსრების ოსტეოართოზი უმრავლეს შემთხვევაში წარმოადგენს დაავადების პირველადი ფორმის მაგალითს.

ოსტეოართროზის რადიკალური მკურნალობის მეთოდები ჯერ-ჯერობით შემუშავებული არ არის. დიდი მნიშვნელობა აქვს პროფილაქტიკურ ღინისძიებებს, კერძოდ იმ ფაქტორების დროულ გამოვლინებას და აღკვეთას, რომლებიც ხელს უწყობენ დაავადების განვითარებას, მაგალითად, ორთოპედული დეფექტების კორექცია, სხეულის ჭარბის მასის შემცირება და სხვა.

ქვედა კიდურების ოსტეოართროზის დროს, რომელიც ვლინდება მხოლოდ ტკივილით ხანგრძლივი სიარულის შემდეგ, ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება დატვირთვების შემცირებას დაზიანებულ სახსარზე. გონართროზის ან კოქსართროზის დროს ავადმყოფები საჭიროა დროებით განთავისუფლდნენ სამუშაოდან;

გონართროზსა და კოქსართროზს ხშირად თან ახლავს სახსრის ირგვლივი რბილი ქსოვილების ცვლილებები (პერიართრიტები), რომლებიც აძლიერებენ ტკივილსა და მოითხოვენ შესაბამის მკურნალობას.

კოქსართროზისა და გონართროზის დროს მიზანშეწონილია ველოსიპედით სიარული, ცურვა; დაავადების ადრეულ სტადიებზე, სინოვიტის არარსებობისას, ზოგჯერ ეფექტურია ბალნეო და ტალახით მკურნალობა.

დაზიანებული სახსრის მიშვნელოვანი დარღვევებისას, მყარი ტკივილების დროს ტარდება სხვადასხვა სახის ქირურგიული ოპერაციები.

# თუკი სახსრები ოდესმე აგტკივებიათ:

საჭიროა მხოლოდ 150 გრ ჟელატინი. ეს გეყოფათ მთელ თვეს. ყოველდღე დაგჭირდებათ დაახლოებით 2 ჩ.კ ჟელატინი. გახსენი ის 1 ჭიქა ცივ წყალში. კარგად აურიეთ და დააცადეთ მთელი ღამე. დალიეთ უზმოზე. თუ გემო არ მოგწონს-დაამატე თაფლი, წვენი, ან არაჟანი.

7 დღის შემდეგ შენიშნავთ, რომ ტკივილები შემსუბუქდება. 1 თვის შემდეგ კი შეგიძლია



შეწყვიტო მკურნალობა, იმიტომ რომ შედეგი მიღწეულია.

6 თვის მერე შეგიძლია გაიმეორო (თუმცა აუცილებელი არაა).

საქმე იმაშია, რომ ის მიიღება კოლაგენის გადამუშავებით, რომელსაც შეიცავს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ძვლების შემაერთებელი ქსოვილები, გარდა ამისა პროცესში ჩართულია მყესები და ხრტილებიც. ამიტომაც მის შემადგენლობაში შედის ამინომჟავები, რომელიც ხელს უწყობს სახსრების შემაერთებელი ქსოვილების აღდგენას.

❖ ❖ ❖

300 გ სპირტი, 1 ფლაკონი ქაფური სპირტი (10 მლ), 1 ფლაკონი იოდი (10 მლ) და 10 ტაბლეტი ჩვეულებრივი ანალგინი. ყველაფერი კარგად აურიეთ ერთმანეთში და დადგით 21 დღით ბნელ ადგილას. როცა ხსნარი მზად იქნება, შეიზილეთ მტკივნეულ ადგილებში.

კურნავს ყველაფერს, რაც დაკავშირებულია სახსრებსა და კუნთებთან: რადიკულიტი, ართრიტი, ართროზი, ოსტეოქონდროზი.

# პითონთან მოცურავე ავსტრალიელი სასტიკ მოპყრობაშია ეჭვმიტანილი

ავსტრალიელი, რომელიც ტბაში მოშინაურებულ პითონთან ერთად ბანაობდა, ცხოველებთან სასტიკ მოპყრობაშია ეჭვმიტანილი.

ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ინციდენტი კვისლენდში მოხდა. ცხოველის პატრონი სტივენ ბრაიმლოუ პითონს წყალში აგდებდა და ის ყოველ ჯერზე უკან ბრუნდებოდა. ამასთან პითონის პატრონი ლუდს სვამდა. მომხდარის ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელებში ჰიტად იქცა.

ავსტრალიის მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტში შეშფოთება გამოთქვეს პატრონის მიერ გველთან მოპყრობის გამო და ისინი ამ საკითხზე პოლიციას დაუკავშირდნენ. გარდა ამისა, ცხოველთა დაცვის სამეფო საზოგადოებამ, პითონთან მისი პატრონის მოპყრობას აღმაშფოთებელი ქმედება უწოდა.

ვარაუდობენ, რომ გველი პატრონთან მის მიმართ არა სიყვარულის გამო ბრუნდებოდა, არამედ წყლიდან ამოსვლის სურვილი ამოძრავებდა.

ბრაიმლოუ თავისი შინაური ცხოველისთვის რაიმე სახის ზიანის მიყენებას უარყოფს. მისი მტკიცებით, ისინი უბრალოდ ერთობოდნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# მკურნალი მცენარე



## ოროვანდი ოსტეოქონდროზის წინააღმდეგ

ოროვანდის ფესვები გამოიყენება ოსტეოქონდროზის, რევმატიზმისა და პოდაგრის, შაქრიანი დიაბეტის, სუნთქვითი ორგანოებისა და კუჭ-ნაწლავის, თირკმლებში კენჭების არსებობისა და შარდკენჭოვანი დაავადებების, კუჭში შეკრულობის, ბუასილის, კანზე გამონაყარისა და წყლულების სამკურნალოდ.

**გთავაზოთ რეცეპტებს:**

● 1 ს/კ დაქუცმაცებულ ოროვანდის ფესვებს დაასხით 1 ჩ/ჭ წყალი და 10 წუთით ადუღეთ. 1 საათი გააჩერეთ თავდახურული. ნაყენი გამოიყენეთ საფენებისთვის, კომპრესებისა და გამოსავლებად.



● 2 ს/კ დაქუცმაცებული ფესვები ჩაყარეთ თერმოსში, დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 1 საათი, გაწურეთ და მიიღეთ ნახევარ-ნახევარი ჩ/ჭ ნაყენი დღეში 3-ჯერ ჭამამდე, რეკომენდებულია ოსტეოქონდროზის სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის.

● სირსველის, ჩირქოვანი იარების, წყლულების, ფურუნკულის, მასტიტის, ეგზემისა და პოდაგრის დროს – ოროვანდის დასრესილი ფოთლები ქვედა მხრიდან დაიდეთ დაზიანებულ ადგილზე.

● ფიბრომიომისა და საშვილოსნოს მიომის დროს – 2 ს/კ გამხმარ ოროვანდის ფოთლებს დაასხით 2 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, 10 საათი გააჩერეთ მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში თბილ ადგილას. გაწურეთ და მიიღეთ 100 მლ ნაყენი 4-ჯერ დღეში.

● ქუსლების წანაზარდებზე („დეზებზე“) დაიდეთ ოროვანდის ფოთლები და მჭიდროდ შეიხვიეთ, ჩაიცვით წინდა, ერთი დღე-ღამის შემდეგ ახალი კომპრესი გაიკეთეთ. საჭიროა 5 პროცედურა.

## წიწმატურა ტკივილგამაყუჩებელია

წიწმატურა აჩერებს სისხლიან ხველას და სისხლდენას. სასარგებლოა ნაწლავების წყლულის დროს, რადგან გააჩნია დამამშვიდებელი თვისება. წიწმატურა დადებთ თვისებებს ავლენს როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი გამოყენებისას, ასევე, ოყნის სახითაც.

კუჭი ანთებისას, რეკომენდებულია მტკივანი ორგანოს არეზე წიწმატურას ფოთლების დადება. შინაგანად მიღებული წიწმატურას ფოთლები შველის კუჭის დაავადებებს, რომლებსაც კუჭშეკრულობა ახლავს. თუ წიწმატურას ფოთლებს ახალ ჭრილობაზე დაიდებთ, უფრო სწრაფად შეხორცდება.

წიწმატურა შველის სიმსიმვნის, წყლულის, ჩირქგროვის დროს. ნედლ ფოთლებს გააჩნია დამამშვიდებელი და ტივილგამაყუჩებელი თვისება, სხვადასხვა ანთებების დროს. უნდა აღინიშნოს, რომ წიწმატურა მავნებელია ფილტვებისათვის. ამის გამოსწორება შეიძლება ლეღვის მიღებით.

# ასტროპროგნოზი

## 9 მარტისათვის



**ვერძი** – დაისვენეთ თქვენთვის სასიამოვნო ადამიანების გარემოცვაში. ალკოჰოლის მიღება რეკომენდებული არ არის. **კურო** – მომავლის გეგმებს ნუ დასახავთ. ეცადეთ, კონფლიქტურ სიტუაციებს გაერიდოთ. დღის მეორე ნახევარში საპირისპირო სქესთან ურთიერთობა კეთილისმყოფელი იქნება. **ტყუპები** – თქვენი ყველა პრობლემა ფინანსურ დანაკარგებს უკავშირდება. მოსალოდნელია ცვლილებები კარიერაში, საზოგადოებრივ სფეროში. ჯანმრთელობას სერიოზულად მიხედეთ. **კირჩხიბი** – შესაძლოა, მძიმე პირობებთან შეგუება მოგიხდეთ. ნერვებს გაუფრთხილდით, მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. აფორიაქებული ხართ. **ლომი** – ისწრაფეთ სრულყოფილებისკენ. საქმიანი კონტაქტები წარმატებით დამთავრდება, თუმცა საამისოდ დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. **ქალწული** – ბედი გწყალობთ. გამახვილებული ინტუიციის წყალობით სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ. **სასწორი** – საკუთარი შეცდომები გააანალიზეთ და გამოასწორეთ. თქვენს კეთილგონიერებაზე სამსახურებრივი წინსვლაა დამოკიდებული. **ღრიანკალი** – მიზნის მიღწევაში თავქარიანობა და საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება შეგიშლით ხელს. კრიტიკული დღეა, ბევრი რამ იცვლება. **მშვილდოსანი** – იაქტიურეთ. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. საღამოს საკუთარ თავს პატარა დღესასწაული მოუწყვეთ. **თხის რქა** – კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. თავი აარიდეთ უსარგებლო საუბრებს. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. **მერწყული** – იყავით მიზანდასახული და აქტიური. გელით კარიერული წინსვლა. **თევზები** – საჭიროების შემთხვევაში მეგობრების დახმარების იმედი გქონდეთ. ფხიზლად იყავით. სიზმარი, სავარაუდოდ, წინასწარმეტყველური იქნება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 2. მაკარონისგან მომზადებული იტალიური კერძი; 3. პრეზიდენტის რეზიდენცია რომში; 4. უღელტეხილი კავკასიონზე; 5. დეკორატიული ჯიშის ხუჭუჭბეწვიანი ძაღლი; 9. თვითმფრინავთმშენებლობის ერთ-ერთი ცენტრი ინგლისში; 10. კავშირი, გაერთიანება; 14. სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანო; 15. ფსონების ამკრეფი-მიმღები ტოტალიზატორში; 16. უბანი თბილისში; 19. დიდი ბუ; 20. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 21. სათათბირო ორგანო მართლმადიდებელ ეკლესიაში.

**თარაზულად**: 6. მომავლის გეგმები; 7. ობობას ძველი ქართული სახელწოდება; 8. ძალოსნობის იარაღი; 11. ქართული ხალხური ცეკვა; 12. რგოლისებრი მარჯნის კუნძული; 13. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. პატარა იუმორისტული მოთხრობა; 18. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 22. მე-17 საუკუნის ქართველი დიპლომატი ქალი; 23. ფრანგული ყველი; 24. თურქმენეთის დედაქალაქი; 25. სხეულის მოძრაობის კანონების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰორაციო; 2. წნორი; 3. გობელენი; 4. ბურნაკუ; 5. გოლზუორთი; 9. გრიზლი; 12. თარხანი; 14. ლეკები; 15. ზაქი; 17. ტიბრი; 18. აკრი.

**თარაზულად:** 6. პოკერი; 7. მონიუშკო; 8. „მადერა“; 10. „ქართუ“; 11. „როსტომიანი“; 13. კლაუზულა; 16. ღალატი; 19. კალაპარი; 20. ნიველირი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მაღრაძე; 2. ავოკადო; 3. ინტერნეტი; 4. „ბერეტა“; 5. „ტიფანი“; 9. ჰაიტი; 10. ენისელი; 14. სპირიჩუელი; 15. ტაქსაფონი; 16. ყულევი; 19. კალმარი; 20. კალაძე; 21. ფრახტი.

**თარაზულად:** 6. მაჭავარიანი; 7. ამნეზია; 8. „ფრესკო“; 11. კანტონი; 12. ოდინი; 13. ვერმუტი; 17. ბატერფლაი; 18. ტიურინგია; 22. ჩარხილი; 23. ვერსაჩე; 24. „ტრავიატა“; 25. სინოპეკი.

# მომღერლები სიცოცხლის გადასარჩენად ერთიანდებიან




ქართველი მომღერლები ახალგაზრდების სიცოცხლის გადასარჩენად ერთიანდებიან. 12 მარტს სპორტის სასახლეში მომღერლები ლუკა დავიანტისა და მარიამ მათიაშვილის დასახმარებლად საქველმოქმედო კონცერტს გამართავენ.

მარიამ მათიაშვილს ბავშვობაში აღმოუჩინეს თავის ფიბროზული ოსტეოდისპლაზია (ძვლების დაშლა, გადაგვარება). ის 10 წლიდან მკურნალობს. ახლა კი ესაჭიროება გადაუდებელი ოპერაცია თურქეთში, რისთვისაც საჭიროა 45.000 აშშ დოლარი.

ლუკა დავიანტი თსუ-ს ჟურნალისტიკის მიმართულების მეორე კურსის სტუდენტია. მას ცოტა ხნის წინ დაუსვეს შუბლის წილის ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი. სასწრაფოდ ესაჭიროება გერმანიაში მკურნალობა, რისთვისაც სჭირდება 70.000 ევრო.

კონცერტიდან შემოსული თანხა ორად განაწილდება და ამ ორ პიროვნებას გადაეცემა. კონცერტი საქველმოქმედო ფონდ „ცხოვრება მშვენიერია" ორგანიზებით ტარდება. სწორედ ამ ფონდმა გამართა კონცერტი გასულ წელს ნიკუშა ნატროშვილის დასახმარებლად. დღეს ნიკუშა ჯანმრთელია და ახლა ლუკასა და მარიამის გადასარჩენად იბრძვის. ის აქტიურადაა ჩართული მარიამისა და ლუკას დასახმარებელ კამპანიაში.

– ყველა ერთად სიცოცხლისათვის! – ეს არის ჩვენი ლოზუნგი და მის გარშემო ყველა უნდა გავერთიანდეთ. კონცერტზე დასწრება ძალიან მნიშვნელოვანია, რათა პირველ რიგში მარიამსა და ლუკას მივცეთ სტიმული და ვაჩვენოთ, რომ ძალიან ბევრი ადამიანი გაერთიანდა მათ დასახმარებლად, შემდგომ კი მთელმა საქართველომ იხილოს, რომ თურმე შესაძლებელია ერთიანი ძალებით სიკეთის კეთება და ადამიანების სიცოცხლის გადარჩენა! – აცხადებს ნიკუშა ნატროშვილი.

საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ნიაზ დიასამიძე და 33ა, ნიკოლშოუ, რეგიონი, დაგდაგანი, ნიუტონი, გუფი ლენდი, ლაუდსპიკერსი, იანგ ჯორჯიან ლოლიტაზ, ზი მინს, გიო ხუციშვილი და ბიჭები, გიო ძამუკაშვილი და ბენდი, ტიგინა, ოთო ნემსაძე, ნოდიკო ტატიშვილი.

კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 10 ლარია.

# ნინი შერმადინი ბროდვეის შოუს სოლისტი გახდა



ამერიკაში წასული ქართველი მომღერალი ნინი შერმადინი საქართველოს ეტაპობრივად სტუმრობს. მან ერთ-ერთი თავისი ბოლო ვიზიტი სამშობლოში რამდენიმე დღის წინ დაასრულა.

ნინის საკუთარი კარიერის გასაგრძელებლად მცირეწლოვანი შვილის დატოვებაც კი მოუხდა, მაგრამ, იმდენად მტკიცე აღმოჩნდა მისი გადაწყვეტილება, რომ ეს მტკივნეული ნაბიჯი მაინც გადადგა.

ბერძნული იქს ფაქტორის ფინალისტი და არაერთი მუსიკალური შოუს მონაწილე ამერიკაში პროფესიული ზრდისთვის თავდაუზოგავად შრომობს და ამ შრომამ თავისი შედეგი გამოიღო. ნინი ბროდვეის შოუს სოლისტი გახდა. ინფორმაცია ქართველი მომღერლის ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა:

– 2016 წლის 6 მარტი! ახალი ცხოვრების დასაწყისი ნინი შერმადინის ცხოვრებაში! მთელი გულით ვულოცავთ ნინის ბროდვეის ყველაზე დიდი შოუს სოლისტობას და კიდევ უფრო ბევრ წარმატებას ვუსურვებთ!

# დემნა გვასალიას კოლექციას პარიზის მოდის კვირეულზე სენსაციური უწოდეს





ქართველ დიზაინერ დემნა გვასალიას კოლექციას პარიზის მოდის კვირეულზე სენსაციური უწოდეს. დემნა სულ ახლახან დაინიშნა მსოფლიოში ცნობილი ბრენდის ბალენციაგას კრეატიულ ხელმძღვანელად. პარიზის მოდის კვირეულზე მან პირველად წარმოადგინა თავისი კოლექცია.

დემნა გვასალიამდე ბალენციაგას შემოქმედებითი დირექტორი იყო ალექსანდრ ვენგი. ვენგი კი ამ თანამდებობაზე ლუი ვიტონის ამჟამინდელი კრეატიული დირექტორის ნიკოლა გესკიერის შემდეგ დანიშნეს. ბალენციაგა 1919 წელს ესპანელმა კრისტობალ ბალენციაგამ დააარსა. პირველი ბუტიკი სწორედ ესპანეთში გაიხსნა. დღეს ბრენდს ფრანგები ფლობენ. დღეს ბრენდში ახალი ერა იწყება. ახალი ბალენციაგა ამჯერად დემნა გვასალიას ხელშია.

ჩვენებას ესწრებოდნენ ამერიკული ვოგის რედაქტორი ანა ვინტური, იტალიური ვოგის რედაქტორი ფრანკა სოზანი და მოდის კრიტიკოსი, ყველაზე გავლენიანი მოდური ჟურნალისტი სიუზი მენქსი.

სიუზი მენქსმა დაწერა, რომ ყვავილებიანი პრინტები ესპანური მოდის გამოძახილია და ზუსტად გამოხატავს კრისტობალ ბალენციაგას.

ამერიკული ვოგის ოფიციალურ საიტზე მთავარი თემა ბალენციაგას ახალი კოლექციაა, სადაც სათაურში ქართველი დიზაინერის დებიუტი ერთი სიტყვით არის შეფასებული – სენსაციური!

ბრიტანული ვოგის რედაქტორი ალექსანდრა შულმანი ბალენციაგას ჩვენებიდან ფოტოს აქვეყნებს და წერს, რომ ძალიან დიდი წარმატება იყო ამ კოლექციის გამოტანა.

ბლოგერები წერენ, რომ კოლექცია მაღაზიებში ელვის სისწრაფით გაიყიდება. ერთ-ერთმა ისიც დაწერა, უკვე ვიცი, როგორც კი შეიტანენ გასაყიდად, სამოსი იფრენსო. თავიდან რამდენიმე აქტიური ფეშენისტა წერდა, რომ უკვირდათ დემნა რატომ დათანხმდა ბალენციაგას, როდესაც საკუთარ ბრენდს ასეთი წარმატება ჰქონდა. ამ კოლექციის ნახვის შემდეგ წერენ რომ ახლა გასაგებია, ბალენციაგას სახელს გამოიყენებს და თავის ბრენდს წასწევს წინო. მოკლედ, ინდუსტრიის გამოხმაურება მართლა ძალიან მაგარია. მიმდინარე სეზონზე სენსაციური არცერთი ბრენდისთვის არ უწოდებია ვოგს. ფეშენისტების ერთი ნაწილი სხვა კოლექციას ელოდა, მეორე ნაწილი უკვე ინსტაგრამს აჭრელებს კოლექციიდან ფოტოებით.

აქტიურად განიხილება დემნა გვასალიას კოლექცია სხვადასხვა ფორუმზეც. ბევრს მიაჩნია, რომ კოლექცია ძალიან კარგი იყო. ზოგისთვის დემნა მარჯიელას გავლენას ვერ სცდება და შემოქმედებაში მარჯიელა ძალიან ეტყობა.

არიან ისეთები, რომლებისთვისაც დემნა მეტისმეტად ჭკვიანია, რადგან ვეტემენტსის სტილის სამოსი წარადგინა უფრო ძვირი ნაჭრებით, ამიტომ, ვინც ვერ შეძლებს, ბალენციაგაში 3000 დოლარი გადაიხადოს, მსგავსი სტილის სამოსის შეძენა ვეტემენტსში 800 დოლარად შეეძლება. ამით ქართველი დიზაინერი საკუთარ ბრენდს ფინანსურად წასწევს წინ.

„ჩვენ იმ გოგოებსა და ბიჭებს ვიყენებთ, რომლებიც ჩვენი მეგობრები არიან, რომლებიც არ არიან მოდელები, რომლებსაც მოდა დიდად არ აინტერესებთ. ზოგიერთი მათგანი მსახიობია, რომლებსაც არ აქვთ მუდმივი საცხოვრებელი და მარიხუანას პირდაპირ ტანსაცმლის მორგებაზე ეწევიან", – განაცხადა დემნა გვასალიამ უცხოელი ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ის სამოსი, რომელიც დემნამ ინდუსტრიას შესთავაზა, ჩვენთვის, ქართველებისთვის, უცხო ნამდვილად არ არის, რადგან წლებია ჩვენთან აქტუალურია. ქართველმა დიზაინერმა კი ის ფრანგებს თავისი ხედვით შესთავაზა, ერს, რომელიც ელეგანტურობით არის ცნობილი, რომლისთვისაც ეს სტილი უცხოა. ეს იყო სიახლე, რომელიც არა მარტო ფრანგებმა, არამედ მთელმა მსოფლიომ მოიწონა, რომელიც ყველა მოდის მიმდევრისთვის სასურველი გახდა. თუმცა დემნას ჩვენებები მუდმივად გამოირჩევა ჩვენებაზე გამომსვლელი „მანეკენების" მრავალფეროვნებითაც როგორც გარეგნობით, ისე პროფესიითაც. რამდენიმე დღის წინ ვეტმანის ჩვენებაც პროფესიით არა მოდელმა, არამედ სტილისტმა გახსნა. დემნას თავისი ხედვა აქვს, რაც ყველაფერში ვლინდება, რასაც ის აკეთებს. მის ჩვენებებზე გამომსვლელი მოდელებიც ისეთივე მრავალფეროვნები და განსხვავებულები არიან, როგორიც მისი სამოსი. ის ასეთი მიიღო ინდუსტრიამ, ასეთი აღიარა და ასეთივე იხილა დღეს პირველად ლეგენდარული მოდის სახლის კრეატიული ხელმძღვანელის ამპლუაშიც.

# მესტიაში სალოტბარო სკოლა გაიხსნა

მესტიაში სალოტბარო სკოლა გაიხსნა. სვანეთში ჩასულმა კულტურის მინისტრმა უხუცესი ლოტბარი ეფთიმე (ისლამ) ფილფანი ხელოვნების ქურუმით დააჯილდოვა. კულტურის სამინისტროს უმაღლესი ჯილდო მან ქართული ფოლკლორის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მიიღო.

– სალოტბარო სკოლებში პროფესიონალი და გამოცდილი სპეციალისტები არიან დასაქმებული, ამასთან, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი პედაგოგთა პროფესიული დონის ამაღლებაზეც ზრუნავს. აღნიშნული პროექტის განხორციელებაში ცენტრს ხელს უწყობენ და ეხმარებიან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. პროექტი უნიკალური ქართული სიმღერის გადარჩენის, მოვლისა და პოპულარიზაციის მიზნით ხორციელდება. წელს დაგეგმილია ყველა სალოტბარო სკოლისათვის საკრავებისა და ინვენტარის შეძენა და ინფრასტრუქტურის გამართვა. ჩვენი ცენტრების საქმიანობის ძირითადი მიზანია ეთნოფორებთან მუშაობა, ფოლკლორული მასალების მოძიება, ჩაწერა-დაფიქსირება, არქივის შექმნა და ბაზის გამდიდრება. ადგილობრივი ცენტრების საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი მხარეა მომავალი თაობისათვის სწავლება, ადგილობრივი კადრებისა და სპეციალისტების აღზრდა, ქართულ ფოლკლორში კუთხურობის შენარჩუნება და დამკვიდრება. ამ მიზნით უკვე გახსნილ წარმომადგენლობებში შექმნილია სალოტბარო სკოლები, სიმღერა-გალობისა და ქორეოგრაფიული განყოფილებები, მალე გაიხსნება ზეპირსიტყვიერების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სახელოსნოები, – განაცხადა ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელმა გიორგი დონაძემ.

# ლელა მებურიშვილი მეორე შვილს ელოდება?



მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ლელა მებურიშვილი მეორე შვილს ელოდება – ეს არის გასული კვირის ყველაზე განხილვადი სიახლე ქართულ მედიაში. თავად მსახიობი ამ ამბავს არც ადასტურებს და არც უარყოფს.

როგორც ამბობენ, ლელამ ბავშვის სქესი ჯერ არ იცის, თუმცა პატარა ალექსანდრეს შემდეგ მსახიობი მზადაა, ბიჭიც სიხარულით მიიღოს და გოგოც. ლელას პირველი შვილი 2 წლის ხდება. მსახიობი მეუღლე ბაჩო საგანელიძეა, პოლიტიკოს დავით საგანელიძის ძმისშვილი. ლელამ თავისი პირველი შვილი ამერიკაში გააჩინა.

ამჟამად ლელა მებურიშვილი ტელეკომპანია „იმედში" მუშაობს და „დღის შოუში" რუბრიკა „მშობლების კრება" მიჰყავს. „იმედზე" მსახიობი ეკა ამირეჯიბთან ერთად ერთი წლის წინ გადავიდა, რის გამოც მას გახმაურებულ სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში" კატოს როლის დათმობა მოუხდა.

თავის დროზე ამ როლზე ლელა მებურიშვილმა ნინო გაჩეჩილაძე ჩაანაცვლა, ლელას იმედზე გადასვლის შემდეგ კი სერიალზე მომუშავე შემოქმედებითმა ჯგუფმა კატოს როლზე ისევ ნინო გაჩეჩილაძე დააბრუნა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

**წვერსაპარსი PHILIPS + საჩუქარი ტრიმერი**
**50 ლარი 90-ის ნაცვლად**



- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჰყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**



1.ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.

**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**50 ლარად 95 ლარის ნაცვლად**



MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79.
579 885 996

## პროგრამა

**ოთხშაბათი**
**9 მარტი**

07.00, 07.30, 08.00, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.30 "მოამბე" 07.05, 08.30, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 დ/ფ "თოფ-გიარი" 12.30 "გურმანია" 13.00 ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "ხანმოკლე XX საუკუნე" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 სოციალური თოქ-შოუ 22.00 დ/ფ "თოფ-გიარი" 22.50 "ეპოქის ფრაგმენტი" 22.59 "კომუნიკატორი" 23.00 ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა. 23.40 ჩემპიონთა ლიგა 1/8 ფინალური მატჩი: **ჩელსი – პსჟ** 01.40 მხ/ფ "**აეროპორტი 77**" 03.30 "პირადი ექიმი"

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 13.00 დ/ფ "იაპონია: იმპერატორი და ჯარი" 14.00, 16.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 20.55 ჩემპიონთა ლიგა" მერვედ ფინალი: **ზენიტი – ბენფიკა** 23.00 "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 სტუმრად იუმორინასთან 00.30 მხ/ფ. "**რომეო და ჯულიეტა**" (ჰ.სტეინფელდი) 02.40 მხ/ფ. "**ანჟელიკა ანგელოზების მარკიზა**" 04.25 ერთხელ საქართველოში 04.45 მხ/ფ. "**საიდუმლო სია**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**აღთქმა**" 22.00 ნანუკას შოუ 00.00 გააცინე და მოიგე 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

9.00, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 9.30, 15.30 Discovery- ფილმების მეცნიერება 10.30, 17.30 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 11.30 შუადღე 14.00, 20.00 ცოლები და ქმრები 14.30, 19.00 სერ. "**ცენტრი**" 16.30 აირჩიე კაბა 20.30 20.30 22.00 მხ/ფ "**რიპლის თამაშები**" 0.00 ID Extra - სასჯელს თითქმის გავექეცი 1.00, 2.45 URBAN STORIES 1.50 ჯიდიპედია

06.10 მუს.პაუზა 06.15 დროის ჩანაწერები 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.05 დ/ფ "ოსტატები-ჭედურობა" 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 ქრისტიანული ხელოვნება 11.15 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 11.30 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან 12.10 ღია აუდიტორია 13.00 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.30 დეკორატიული ფლორა "პუანტესია" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართ. ან/ფ 15.30 დ/ფ "1956 წლის 9 მარტი" 16.50 კონცერტი 17.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო-ეფრემ ასურის ლოცვა III 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**მთვარის მოტაცება**" 2 20.40 ძილი ნებისა "ჩიპოლინო" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ივერიის ეკლესია 21.35 ეპოქის სახელები 22.00 სიახლენი 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დ/ფ 01.00 შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00, 3.30 "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30 დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" 14.05, 15.30, 16.05, 17.05, 01.00 სერ. "**კარმელიტა**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "**ქალთა ექიმი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45, 22.30 სერ. "**გჯეროდეს**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


9 მარტისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4716 |
| ევრო | 2.7146 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.4956 |
| 100 რუსული რუბლი | 3.3737 |

**ამინდის პროგნოზი 9 მარტისთვის**





## 9 მარტიდან გაზეთ ახალ თაობასთან ერთად




### მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

**ბიოლოგია** – თეორიული მასალა + ტესტები + 1500 ელექტრონული ტესტი

**გადაფხიკე კოდი და ივარჯიშე ინტერნეტში!**

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ საატესტატო გამოცდებისთვის მოსამზადებელ წიგნებში შესულია ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ფიზიკისა და ქიმიის პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები.

წიგნების უკანა ყდაზე დატანილია კოდი, რომლის საშუალებით მოსწავლეებს გამოცდებისთვის მომზადება და ცოდნის გადამოწმება დამატებით 1500 ტესტით ინტერნეტით შეუძლიათ.

ეს ელექტრონული ტესტები რეალური გამოცდების სიმულაციაა.

ყურადღება! გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. გადაფხიკეთ ეს ფენა და მოცემული კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქის გვერდზე (Fb.com/bakursulakauripublishing).

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს.

ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

გაიხსენეთ ან შეაჯამეთ თეორიული მასალა ამ წიგნების მიხედვით, მოაწყვეთ გამოცდების სიმულაცია სახლში და წარმატებით ჩააბარეთ საატესტატო გამოცდები!

**16 მარტიდან გაიყიდება გეოგრაფია ● 23 მარტიდან – ფიზიკა ● 30 მარტიდან – ქიმია**


## დონალდ ტრამპმა საკუთარ მამაკაცურ ღირსებაზე ისაუბრა

აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატმა დონალდ ტრამპმა თავისი კონკურენტის სენატორ მარკ რუბიოს მიერ გამოთქმული ვარაუდი უარყო, რომელიც მისი მამაკაცური ღირსების ზომების სიმცირეს შეეხებოდა. მშენებლობის მაგნატმა ელექტორატი დაარწმუნა, რომ ამ მხრივ ყველაფერი წესრიგში აქვს.

როგორც ერთ-ერთი ინტერნეტ რესურსი განმარტავს, რუბიომ ამგვარი ვარაუდი ტრამპის ფიზიოლოგიასთან დაკავშირებით თავის ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს გამოთქვა.

– მისი (ტრამპი) სიმაღლე ექვსი ფუტი და ორი დიუმია. მაშინ რატომაა, რომ ხელები ისეთი სიგრძის აქვს, როგორიც ხუთი ფუტის და ორი დიუმის სიმაღლის ადამიანს აქვს? თქვენ ხომ იცით, თუ რას ამბობენ იმ მამაკაცზე, რომელსაც მოკლე ხელები აქვს, – განაცხადა სენატორმა.



– მომიწევს ამ თემას შევეხო. მან ჩემი ხელები გააკრიტიკა. აქამდე არავის არაფერი უთქვამს ჩემი ხელების მისამართით. შეხედეთ ამ ხელებს. ისინი პატარაა? მან (რუბიო) თქვა, რომ თუ ხელები პატარა მაქვს, მაშინ ერთი ორგანოც პატარა უნდა მქონდეს, მაგრამ გარანტიას გაძლევთ, რომ იქ ყველაფერი სრულ წესრიგშია, – განაცხადა ტრამპმა ტელედებატების დროს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 7 მარტიდან!




„ახალ თაობასთან“ ერთად

**მურმან ლებანიძე**

**100 ლექსი**

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**


## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 2. უსქესო, ვეგეტაციური გზით წარმოშობილი შთამომავლობა; 3. ღვინის წარმოების ცენტრი ყირიმში; 4. ბედიღბლიანობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 5. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანის სახელწოდება საფრანგეთში; 9. სამხედრო ფორმის კოსტიუმი; 12. უმაღლესი კატეგორიის დიპლომატი; 14. გამომშრალი, უკურკო გარგარი; 15. ფრანგული ავტომობილი; 17. კარჩაკეტილი საზოგადოებრივი დაჯგუფება; 18. ხორვატიის კუნძული ადრიატიკის ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა.

**თარაზულად:** 6. ღვარძლიანი, ბოროტი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 7. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 8. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკეებში; 10. უბანი თბილისში; 11. სანადირო თოფებისა და ავტომატური შაშხანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 13. ძველი ბერძნული ქალაქების გამაგრებული ნაწილი; 16. შეძლებულ გლეხთა სახელწოდება საბჭოთა კავშირში; 19. ადამიანი, რომელმაც უღალატა საკუთარ რწმენას; 20. მცენარეული წარმოშობის შაქარი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## მარია შარაპოვას 4-წლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება

ცნობილ რუს ჩოგბურთელს, მარია შარაპოვას სისხლში აკრძალული პრეპარატი აღმოუჩინეს და გრძელვადიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება.

ამის შესახებ განცხადება თავად შარაპოვამ გააკეთა და ლოს ანჯელესში საგანგებოდ დანიშნა პრესკონფერენცია:

– უდიდესი შეცდომა დავუშვი, როდესაც აკრძალული პრეპარატების განახლებული სია მივიღე, მაგრამ მას სათანადოდ არ გავეცანი. ჩემი ქომაგების დიდი არმია დავალალატე. ძალიან არ მინდა, რომ ჩემი კარიერა ასე დასრულდეს. იმედი მაქვს, რომ თამაშის შანსს მომცემენ. იტფ-სგან წერილი რამდენიმე დღის წინ მივიღე და ამ საკითხზე ვმუშაობ.

როგორც ირკვევა, სპორტსმენი რამდენიმე წლის მანძილზე იღებდა პრეპარატ მელდრონატს, რომელიც წელს აკრძალულთა სიაში შევიდა. სხვათა შორის, ეს ის პრეპარატია, რომელზეც რამდენიმე დღის წინ 6 ქართველი მოჭიდავე ჩავარდა.

თავად შარაპოვა აცხადებს, რომ პრეპარატის მიღება 2006 წლიდან დაიწყო, როდესაც ჯანმრთელობასთან პრობლემები შეექმნა.

თუ რუს ვარსკვლავს დოპინგის შეგნებულად მიღება დაუმტკიცდება, კორტს 4 წლით ჩამოაშორებენ, ხოლო თუ ყველაფერი ისე იყო, როგორც მარია ჰყვება და საქმე მხოლოდ შეცდომასთან გვქონდა, მისი სასჯელი განახევრდება.

შარაპოვას საქმის წინასწარი განხილვა 23 მარტს ლონდონში ჩაინიშნა. თუმცა, წინასწარი დისკვალიფიკაცია 12 მარტს იწყება.



როგორც ჩანს, შარაპოვას ვერაფერი უშველის, რადგან უკვე ზურგი აქციეს სპონსორებმა: მარიასთან კონტრაქტის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო „ნაიკმა“. ცნობილ ამერიკულ ბრენდს შარაპოვასთან 8-წლიანი და 70 მილიონ დოლარიანი ხელშეკრულება აკავშირებდა, რომელსაც ვადა 2018 წელს გასდიოდა. ასევე ხელშეკრულების გაგრძელება არ ისურვა შვეიცარიული საათების მწარმოებელმა კომპანია „ტაგ ჰეუერმა“, რომელსაც რუს ჩოგბურთელთან გასული კონტრაქტი 2015 წლის დეკემბერში ამოეწურა და ახალი ხელშეკრულება სწორედ უახლოეს პერიოდში უნდა გაფორმებულიყო.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## იუმორი



ქართველი ცოლ-ქმარი ტურისტი პაპუასებმა დაიჭირეს, ხეზე მიაბეს, ცეცხლი ააგიზგიზეს, ზედ დიდი ქვაბი შემოდგეს და მის გარშემო ცეკვა დაიწყეს. შეშინებული ცოლი ქმარს ეკითხება:

– რას გვიპირებენ?

– შეგვჭამენ.

– ჩაგისკდა მუცელი, შენ სულ ჭამაზე როგორ უნდა ფიქრობდე.

●●●

შვილი მამას ეკითხება:

– მამი, იცი რა მიკვირს?

– რა?

– რა და, ჩემხელები ზოგი უმაღლესში სწავლობს, ზოგი მუშაობს, ზოგიცა უცხოეთშია წასული სასწავლებლად და მე მეორე კლასში რათა ვარ?

– ნუ გაახურე რა, დალიე თუ სვამ...

●●●

კაცი გაიგებს, რომ სოფელში ზანგი დადის და ქალებს აუპატიურებსო. გაახსენდება, რომ ცოლი სახლში მარტოა და სახლისკენ გაიქცევა. ოთახში გიჟივით შევარდნილს ცოლი ეუბნება:

– რა იყო, კაცო, რა ზანგივით შემოვარდი...

●●●

სიძეს სიდედრი ესტუმრა. მეორე დილით სიდედრმა სიძეს შესჩივლა:

– მთელი ღამე კოღოები მკბენდნენ, ლოგინი სულ სისხლიანია.

– ეტყობა, კოღოებს შენ სისხლზე გული აერიათ...

●●●

ჩაძირული გემიდან მხოლოდ ახალგაზრდა ლამაზი ქალი გადარჩება და კუნძულზე მოხვდება. ველური ბავშვი დაინახავს და მამას ეკითხება:

– მამა, ეს ჩვენი ვახშამია?

– არა, შვილო, დღეს ვახშმად დედაშენი გვექნება...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– რა კარგი ყოფილა „გრუპაოი“ სექსი, ისე წამოვედი, არავის გაუგია.

●●●

კორესპონდენტი მოხუც შინაბერას ეკითხება:

– რატომ არ გათხოვდით?

– იცით რა, მე ყოველთვის მყავდა ძაღლი, რომელიც სულ იყეფებოდა, თუთიყუში, რომელიც სულ იგინებოდა და კატა, რომელიც, კაცმა არ იცის, ღამე სად დაეთრეოდა და ქმარი რაღაში მჭირდებოდა?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**